ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 35 (103) 6 ოქტომბერი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი



## ოპერაცია «ბარბაროსა» 5

**ქართული განათლების წინააღმდეგ**

**რა მიზანს ემსახურება უნივერსიტეტების მოსალოდნელი დახურვა**

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"



უბედურებათა სტატისტიკა 12



## კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება 10

კლიმენტი შელია

## მიუშკეტერები

ჩვენი სტუმარია გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" 7




## ეს ინჩა ქსენოფობ, ელი? 7

## უცხოელ მეცნიერთა ურთიერთობანი მარტვილის მუზეუმთან 3

## წითელი წიგნი (ყარიბი) 6




9

## ქრისტიანობის გავრცელება ეგრისში 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრისტიანობის გავრცელება ეგრისში

ქრისტეს ჯვარცმიდან ათი წელიც არაა გასული და ღვთისმშობლის დავალებით, მისივე წილხვდომილ ქვეყნისაკენ ქრისტეს ორი მოციქული მოემართება, რათა ქართველთა ქვეყანა ქრისტეს მოძღვრებას აზიაროს.

კოლხთა ქვეყანაში შემოსული მისიონერები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ირჩევენ მათთვის სასურველ მხარეს – სიმონ კანანელი აფხაზეთს გადადის, ხოლო ანდრია პირველწოდებული საჭყონდიდლოში იწყებს თავის მოღვაწეობას. ეს მხარე ხომ ეგრისელთა კერპთაყვანისმცემლობის ცენტრია.

ჭყონდიდი (დიდი მუხა) დღევანდელი მარტვილის მონასტრის ადგილას იყო აღმართული. იქვე იყო ქურუმთა საკერპო სალოცავი, სადაც ყოველწლიურად საკერპო დღესასწაულის დღეს იმართებოდა მსხვერპლშეწირვა. დედას მხოლოდშობილი ვაჟი, წინა დღესასწაულის დღეს დაბადებული თავისი ხელით უნდა მიეყვანა ქურუმებთან, რომლებიც სათანადო რიტუალის შესრულების შემდეგ, ბავშვს მსხვერპლად შესწირავდნენ ღვთაებას. შემდეგ კი ამ სისხლს კერპებსა და იქ შეგროვილ კერპთაყვანისმცემლებს შუბლზე წაუცხებდნენ. ლეგენდა გვეუბნება, წერს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი, მკვლევარი და მეცნიერი, აწ განსვენებული გივი ელიავა – გამწარებული დედა გადმოდგებოდა მარტვილის ფერდობიდან და გაჰკიოდა: **„სკუა მა რვილი სი“** (შვილო, მე მოგკალი შენო), საიდანაც, იმავე ლეგენდით, წარმომდგარა თითქოს სახელწოდება **„მარტვილი“.**

გადმოცემის მიხედვით, ანდრია პირველწოდებულმა შესძლო, მოკლე ხანში კოლხთა დიდი ნაწილის ქრისტეს რჯულზე მოქცევა. და აი, დადგა კერპთაყვანისმცემელთა დიდი დღესასწაულის დღეც. ბანძის ზონიდან წილხვდომილ დედას მოჰყავს ერთადერთი ვაჟი, რათა კერპებს შესწიროს, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. ანდრია პირველწოდებულის მოწოდებით ქრისტიანები შეებრძოლნენ კერპთაყვანისმცემლებს, დახოცეს ქურუმები, დაანგრიეს კერპები, ხოლო მოციქულმა ანდრიამ ხელის ერთი მოქნევით მოისროლაო ათასწლოვანი ჭყონი (მუხა), გვეუბნება ლეგენდა.

გამარჯვეულმა ანდრიამ ერთ-ერთი თავისი თანამებრძოლი მაცნედ აფრინა დედასთან, რათა ეხარებინა ქრისტიანების გამარჯვება და რომ მის შვილს სიკვდილი არ ემუქრება. გზა მარტვილისკენ დღევანდელი ნახარებავოს ეკლესიასთან გადიოდა, სწორედ აქ შეხვდა მაცნე გულში შვილჩახუტებულ, მოტირალ დედას და ახარა მისი შვილის გადარჩენის ამბავი. ლეგენდის მიხედვით ანდრია მოციქულმა ის ადგილი დალოცაო და იმ სოფელს ნახარებოუ (ნახარებაო) ხარების ადგილი დაარქვაო, ხოლო მაცნეს გვარად ხარებავა დაუმკვიდრაო.

დღეს ყველამ იცის, რომ ტროა და ტროას ომი საუკუნეების მანძილზე მწერლის ფანტაზიის ნაყოფი ეგონათ, მაგრამ როცა შლიმანმა ტროა აღმოაჩინა, დარწმუნდნენ, რომ ტროა და ტროას ომი არ ყოფილა ჰომეროსის ფანტაზიის ნაყოფი. ამ ათიოდე წლის წინათ, ჩემგან ეს ლეგენდა ჩაიწერა საქართველოს რადიოს კორესპონდენტმა აწ განსვენებულმა დილარ ჯვებენავამ და ამ ლეგენდას საქართველოს რადიოში სპეციალური გადაცემა მიუძღვნა. მეორე დღეს გადაცემა **„თვალთაის“** რედაქციამ მადლობა გადამიხადა ასეთი საინტერესო ლეგენდის მოწოდებისთვის.

ეგრისელების ქრისტეს რჯულზე მოქცევის შემდეგ სულ მოკლე ხანში ქართლის მეფემ, მეთოთხმეტე ფარნავაზიანმა ადერკმა ლაშქრობა მოაწყო ეგრისში, რათა ისევ წარმართობაზე მოექცია ისინი, მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, ეტყობა საბოლოოდ ვერ შეძლო მისი აღმოფხვრა. ამის ნათელი დასტურია 325 წლის ნიკეის დიდი საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა ეგრისის ორი ეპისკოპოსი ანაკოფიის და ტრაპიზონისა, რომელიც მაშინ ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა და ეს მხარე ლაზებით იყო დასახლებული. ეს ის დროა, როცა წმ. ნინო ჯერ ქართლში ჩამოსული არ არის ქრისტიანობის საქადაგებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა ამ კრებას ეგრისიდან, მაშინ აქ ათამდე საეპისკოპოსო მაინც იქნებოდა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია იყო. მისი უარსაყოფი ჩვენს ისტორიოგრაფიას არავითარი წყარო არ გააჩნია. კიდევ მეტი, ამ რამოდენიმე წლის წინათ ციხე-გოჯის ნანგრევებში ნაპოვნი იქნა ქვის ჯვარი, რომელიც მეორე საუკუნით თარიღდება.

რატომღაც ჩვენს ისტორიკოსებს და არა მარტო მათ, უჭირთ იმის აღიარება, რომ ქრისტიანობა ეგრისში უფრო ადრე გავრცელებულა, ვინემ ქართლში. რაც ერთი წუთითაც არ ამცირებს წმ. ნინოს ღვაწლს, როგორც ქართლის გამქრისტიანებლის, მაგრამ იმის არ აღიარება, რომ ეგრისი მთელი სამი საუკუნით ადრე ანდრია პირველწოდებულმა მოაქცია ქრისტეს რჯულზე, მკრეხელობაა.

ანდრია პირველწოდებულის მიერ ეგრისელთა გაქრისტიანება ლეგენდაში გადასული სინამდვილეა. ამ სინამდვილეს ადასტურებს დიდი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის პაექრობა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსთან.

ეს ეპიზოდი ვახტანგ ჭელიძის **„ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“** ხატოვნადაა გადმოცემული და მე მის გამეორებას არ შევუდგები. რატომ დაუპირისპირდა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს ანდრია პირველწოდებულის სახელით და არა წმინდა ნინოს სახელით. იმიტომ ხომ არა, რომ ანტიოქიელი პატრიარქისათვის წმინდა ნინოს სახელი ვერ იქნებოდა დამაჯერებელი არგუმენტი.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომ ქვეყანად იწოდება. საქართველოს ეკლესია კი სამოციქულო ეკლესიად. თუ ქართველი ისტორიკოსები და საპატრიარქო ბოლოსდაბოლოს ამ ჭეშმარიტებას აღიარებენ, ჩვენ ვიქნებით მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა.

**მურმან სულავა**

# ერის მამა ბანძაში

სოფელ ბანძას დიდი კულტურული ტრადიციები აქვს. ამ პატარა, მაგრამ ულამაზეს სოფელს ბევრი ღირსეული მოღვაწე და მამულიშვილი აღუზრდია ქართველი ერისათვის. იგი ოდითგან წარმოადგენდა საგანმანათლებლო და კულტურის კერას. ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ მარტო ისიც იკმარებდა, რომ 400 წლის წინათ შექმნილი ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის უილიამ შექსპირის (1564-1616) **„ვენეციელი ვაჭარი“** საქართველოში პირველად ბანძაში დაიდგა.

1873 წლის 27 აპრილს ალექსანდრე იოსელიანმა ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის – მექი ფაღავას ოჯახში წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია **„ვენეციელი ვაჭარი“,** რომლის წარმოდგენა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა არა მარტო ბანძის, არამედ მთელი საქართველოსათვის. სოფელი ბანძა, რომ მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე იყო, თუნდაც ეს ფაქტიც ადასტურებს.

გარდა ამისა, ქართველი ერის ისტორიისათვის დიდ ნიშან-სვეტს წარმოადგენდა ერის მამის – ბრძენი ილიას დაინტერესება სამეგრელოს ულამაზესი კუთხით. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და მედროშე, ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების მიმართ მუდამ ყურადღებიანი, ქართული კლასიკური მწერლობის ფლაგმანი ილია ჭავჭავაძე 1885 წელს სამეგრელოსკენ გამოემგზავრა. ისმება კითხვა, რა მიზანს ისახავდა ერის მამის – ილიას მოგზაურობა სამეგრელოში? სწორედ ამ საკითხს ეხება იონა მეუნარგიას სახელობის ცაიშის სახლ-მუზეუმის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. როგავას ნაშრომი თემაზე **„ილია ჭავჭავაძის სტუმრობა ცაიშში“,** რომელიც დაბეჭდილია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 32-ე სამეცნიერო სესიის მასალებში. მეცნიერი როგავა წერს: **“1885 წლის თებერვალში სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის (1813-1853) მემკვიდრემ ნიკო (ნიკოლოზ) დადიანმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ საჩუქრად გადასცა მამის – დავითის ბიბლიოთეკა, რომელიც იმ დროს მთელ საქართველოში ყველაზე უმდიდრესი საცავი იყო, როგორც ხელნაწერი უნიკალური ფონდებით, ასევე გამოცემული ქართული წიგნების კოლექციით”**. ამასთან დაკავშირებით, ნიკო დადიანი წერდა: **„თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით „საზოგადოება“ მოუტანს რაიმე სარგებლობას ჩვენს სამშობლოს, შევრაცხ თავს ბედნიერად“**. ამ შეწირვის ფაქტს ქართველი საზოგადოება სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა.

გაზეთ **„დროების“** ფურცლებზე ივანე მაჩაბელმა ნიკო დადიანის ასეთ ქმედებას მეთაური წერილი უძღვნა ასეთი სათაურით: **„მართლაცდა მეფური შეწირულობა“.**

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გახდა საბაბი იმისა, რომ ილია სამეგრელოსკენ გამოემგზავრა, რომელმაც მყისვე დაიჭირა მოგზაურობის თადარიგი ძვირფასი საგანძურის ადგილზე ჩასაბარებლად.

როგორც წყაროები მიუთითებენ, ილიას 1885 წლის გაზაფხულზე სამეგრელოში ჩამოსვლა განაპირობა არა მარტო დადიანის ბიბლიოთეკების საგანძურის ჩაბარების ფაქტმა, არამედ მისი მოგზაურობა პოლიტიკურ მიზანსაც კი უნდა მივაწეროთ. ამის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას სიტყვა, რომლითაც მან მიმართა ერის მამას.

**„...შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტრებთან ბრძოლა... სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოსგან, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო – დიდი საქართველო“ და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს“.**

ილიას ბანძაში ჩამობრძანებას წინ უძღოდა მისი სტუმრობა სოფელ ცაიშში, 1885 წლის აპრილში. ცაიშში წარმოთქმულმა ერის მამის ამ გაუხუნარმა ფრაზებმა აღაფრთოვანა იონა მეუნარგიას მამა, მიხეილ პეხუს ძე მეუნარგია, რომელიც დეკანოზი იყო. ისმის კითხვა, სამეგრელოში ჩამობრძანებულ ერის მამასა და სიამაყეს აბა სხვა რა უნდა ენახა?!.. ნახა საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი კუთხე სამეგრელო, გაეცნო მის ხალხს, ყოფას, კულტურასა და მოწინავე ინტელიგენციას.

ილიას ფრაზებით აღფრთოვანებული დეკანოზი მიხეილ მეუნარგია აღნიშნავდა: **„ჭეშმარიტად დიდი ბრძენი და ჭკვიანი კაცია ილია, იცის, თუ სად რის თქმაა საჭირო. ეს სიტყვები, რომელიც მან თქვა ძველ სენაკში, იგივე გაიმეორა მექი ფაღავასთან სტუმრობისას „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო“... ჭრილობაზე მალამოს დადება იყო“**-ო.

განსაკუთრებით ცალკე უნდა აღინიშნოს ბრძენი ილიას სტუმრობა ბანძაში.

1885 წელი დიდი ისტორიული მნიშვნელობის თარიღია ბანძელთათვის. სამეგრელოში დაწყებული ვოიაჟი ილიამ დაამთავრა ბანძაში სტუმრობით. ბანძელებმა გულთბილად მიიღეს ეროვნული სულისა და ცნობიერების ადამიანი – ადამიანი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში.

ილიას დამსახურება უპირველესად ის არის, რომ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, იგი ეწეოდა ქველმოქმედებას სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო პროცესების დახვეწის მიზნით, მის უპირველეს მოვალეობად თვლიდა სკოლების გახსნას იქ, სადაც ქართულ ენას საშიშროება მოელოდა და სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სასწავლო სისტემაში რუსიფიკატორული პოლიტიკის დანერგვის მცდელობა მისი მთავარი იდეოლოგის ვინმე იანოვსკის სახით. **„მისივე დამტკიცებული გეგმის მიხედვით მშობლიური ენა თითქმის მთლიანად უნდა განდევნილიყო და საერთოდ სკოლებში სასწავლო პროცესები რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. აი, აქ გამოვლინდა ილიას პატრიოტული სული. მან მტკიცედ დაიცვა მშობლიური ენა. მისი, როგორც მწერლისა და ერის დიდი მამულიშვილის დამსახურება ის არის, რომ მან წამოაყენა ტრიადის პრინციპი: მამული, ენა, სარწმუნოება”.**

ეროვნული რწმენით გამსჭვალულ ილიას, მას შემდეგ, რაც ბანძას ეახლა, დახვდნენ ასევე ეროვნული რწმენისა და სულის ადამიანები. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ერის მამის მასპინძელი, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, თავადი მექი ფაღავა. მექისა და ილიას ადრინდელი ნაცნობობა აკავშირებდათ ერთმანეთთან.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან არის ცნობილი, 1884 წელს მექი ფაღავა და ილია ჭავჭავაძე ერთად მოგზაურობდნენ პეტერბურგში სათავადაზნაურო ბანკის საქმეების მოსაგვარებლად.

მექის მეტად სასიამოვნო მოგონებად დარჩა ერის მამასთან შეხვედრა და მისი სტუმრობა. როგორც აწ განსვენებული ქალბატონი მარიამ გიოშვილი-ასათიანი 32-ე სამეცნიერო სესიის მასალებში აღნიშნავდა, **„ბანძაში მექი ფაღავამ ქუთაისიდან მოიწვია ცნობილი იურისტები: დათა ნიჟარაძე, იასონ გელოვანი, კალისტრატე ჩიკვაიძე, ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის ნუცა ჩხეიძის მამა – პლატონ ჩხეიძე, ნიკო დადიანი – ცნობილი ქართველი მწერლის შალვა დადიანის მამა და სხვები“.**

ერის მეთაურისა და ენციკლოპედიური მოაზროვნის – დიდი ილიას სტუმრობა ეროვნულ-პატრიოტული იდეებით იყო გამსჭვალული. მის იდეალს ხომ ერთიანი, მთლიანი საქართველო წარმოადგენდა. ეროვნული ინტერესების დაცვა – აი, მრწამსი ერის მამისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანძაში, მექი ფაღავას ოჯახში, დიდმა ილიამ გაიმეორა ძველ სენაკში ნათქვამი ფრაზა – **„სამეგრლოში მოვედი და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო“** და გამოსცალა ოჯალეშის ღვინით სავსე 13-ჭიქიანი ყანწი, რომელიც ამჟამად ჩვენს მუზეუმში ინახება, როგორც იშვიათი რელიქვია. (იხ. მ. გიოშვილი-ასათიანი, გ. მ. მ. 32-ე სამეცნიერო სესიის მასალები, **„ი. ჭავჭავაძე სამეგრელოში“,** გვ. 18).

მართლაც რომ საამაყო აქვთ ბანძელებს ერის მამის – დიდი ილიას სტუმრობის გამო, ერის მამისა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

**ამბროს ფაილოძე,**
აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხმა უცხოეთიდან

# უცხოელ მეცნიერთა ურთიერთობანი მარტვილის მუზეუმთან

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საქართველოს ფარგლებს გარეთ პირველად გავიდა 1962 წელს. შემდგომ ამისა თანდათან გაფართოვდა კონტაქტები უცხოეთის ინტიტუტებთან.

პირველი კავშირი დამყარდა 1962 წლის შემდეგ, მომდევნო კი – 1964 წელს.

1962 წელს სსრკ საკავშირო ბიბლიოთეკის აქტიური ჩარევით მეორე სესიის მასალები გაეგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის ბიბლიოთეკას.

პირველი უცხოელი, რომელიც დაუკავშირდა ბატონ გივი ელიავას, გახლავთ **რენე შმერლინგი**. იგი იტყობინება, რომ მეცნიერმა იმოგზაურა სვანეთში, ახლა სურს გაემგზავროს რაჭაში და უკან დაბრუნებული კვლავ ესტუმროს მარტვილს.

შმერლინგი მესტიაში შეხვედრია ნიკო ბერძენიშვილს და ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა ჯგუფს. წერილში ადრესატი იტყობინება, რომ გ. ჩუბინაშვილი სექტემბრამდე დაისვენებს კახეთში. მას მოუთმენლად სურს გივი ელიავასთან შეხვედრა. ეს პირველი წერილია. მეორე წერილში რენე შმერლინგი წერს, რომ ვერ შეძლო მარტვილში შემოვლა, არადა ნატვრად გადაექცა ბატონი გივის მუზეუმის დათვალიერება.

მეორე ავტორი, რომელსაც გავეცნობით, ამერიკელი გახლავთ – **დანიელ ლევი**. მას შეუტყვია, რომ გივი ელიავა მუშაობს მეგრულ-ქართული ლექსიკონის გამოცემაზე, ღელავს, რათა წიგნის გარეშე არ დარჩეს და სთხოვს წიგნის ავტორს, აცნობოს, როგორ შეუძლია საფასურის წინასწარ გადახდა, რომ გივის ლექსიკონის გამოცემის ერთი ეკზემპლარი ერგოს.

**ჰაინც ფაინრიხი** იენის უნივერსიტეტის პროფესორია. მისი წერილი მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში იგი მადლობას უხდის ბატონ გივის და მის თანამშრომლებს დახმარებისათვის, რომელიც სტუმარს გაუწიეს მისი მუზეუმში მუშაობის დროს. ფაინრიხს მიაჩნია, რომ აქ შეგროვილი მასალა ძალიან საყურადღებოა ერთი მხრივ, ტოპონიმების, ხოლო მეორე მხრივ, მეგრული ენის ლექსიკის თვალსაზრისით. წერილში უცხოელი სწავლული აფასებს მუზეუმის თანამშრომელთა შრომას და ასკვნის: მნიშვნელოვან პატრიოტულ საქმეს ეწევიან მუზეუმის მეცნიერებიო. ბოლოს დასძენს: **„მუზეუმის მთელ კოლექტივს დაწყებული საქმის კეთილ დამთავრებას ვუსურვებო“.**

ჩვენს ხელთ არის ქართველებისათვის კარგად ცნობილი მეცნიერის **ჯორჯ ჰიუიტის** წერილი, მკითხველს გაახსენდება ალბათ ეს კაცი. ან გასახსენებელი რა სჭირდა, დაავიწყდებოდათ ვითომ? მერედა ფიქრობთ, რომ საქმე ერთ წერილსა და ერთ საკითხს ეხება? კარგად დავუკვირდეთ მის ნააზრევს – აფხაზების სიძესა და თბილისის უნივერსიტეტის გაზრდილს.

ვთქვით, ხელთა გვაქვს ექვსი წერილი. აქედან ორი ინგლისიდან არის გამოგზავნილი 1985-1991 წ.წ.-ში. პირველ წერილში ბატონი ჯორჯი მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისათვის, მეორეში წუხს საფოსტო გზავნილებათა დაკარგვის გამო.

ჰიუიტს მიზნად დაუსახავს გრამატიკული პარალელების საფუძველზე დაამტკიცოს, რომ ქართული, მეგრული და, რა თქმა უნდა, აფხაზური მონათესავე ენები არ გახლავთ. უფრო მეტიც, ქართველები, მეგრელები, სვანები, აფხაზები და ლაზები სხვადასხვანი არიან და მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობს. ამ **„მეცნიერული ნააზრევის“** ავტორი ელიავას სთხოვს თავის დასაბუთებულ აზრს.

ბატონი გივი დუმს.

ჰოდა, ეს დუმილია მისი მკაცრი პასუხი.

არქივში დაცულია ამერიკაში მცხოვრები და შემდგომში, სამშობლოში დაბრუნებული კაცის ნიკო თოფურიას და სპელეოლოგ ჯუმბერ ჯიშკარიანის წერილები.

ყურადღება მივაქციოთ ამერიკულ ჟურნალს **„არქეოლოგიას“**, რომელშიც გამოქვეყნებულია გივი ელიავას სურათი შვილიშვილთან – დათოსთან ერთად.

ჟურნალის სახელწოდებაა **„აშშ-ს არქეოლოგია“**. წერილის ავტორია ჟურნალის რედაქტორის ასისტენტი კრისტიან რომეი. ის ამაყად ამბობს, რომ თითქმის 50 წელია მუზეუმის დირექტორია ბატონი გივი. სტუმარი ჟურნალისტი **“მეეტლეს”** ბიუსტს ბერძნულ იმპორტად თვლის. ამავე აზრისაა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე. კრისტიან რომეი იხსენებს:

**“ვანში ყოფნის შემდეგ გურამი საუბრობდა ძალიან საინტერესო ნივთის (მეეტლის) შესახებ, რომელიც ინახებოდა ერთ პროვინციულ მუზეუმში და რომელიც მე აუცილებლად უნდა მენახა.**

**წარმოდგენაც არ მქონდა ზუსტად, იყო ეს „მეეტლე“?**

**მალე გავუდექით გზას. უცებ შემოგვესმა ნაცნობი ყურთა სმენის წამღები საგზაო პოლიციელის სირენა. ჩვენმა მძღოლმა-გამცილებელმა, სახელად ბატომ თვალები გადაატრიალა და ზოზონით გადავიდა მანქანიდან.**

**ერთი ახოვანი, ბრგე პოლიციელი იარაღზე ხელდადებული, წამოვიდა, თავი შემოყო მანქანაში და კარგად დაათვალიერა ჩვენი ბარგი და აპარატურა – „თქვენი მოსახვევი ციმციმა მაშუქი გამორთულია“ – ნელა გამოსცრა მან.**

**გურამმა გადამითარგმნა, მე კი სიცილი წამსკდა. ჩვენ ხომ ბოლო მოსახვევი სამი მილის უკან გამოვიარეთ.**

**ბატომ სცადა უკვე წარმატებით ნაცადი მეთოდი გამოეყენებინა და უთხრა პოლიციელს „აქ ამერიკელი ჟურნალისტია“.**

**პოლიციელმა შემომხედა. მე გავუღიმე და ჩემი ბლოკნოტი ამოვიღე. მას სახე გაუწითლდა, მიუბრუნდა ბატოს და ეუბნება: „უკან როცა მობრუნდები, გაგაჩერებ და დაგაჯარიმებ 100 დოლარით“.**

**ამ სიტყვებით პოლიციელმა გაისწორა საბჭოთა ეპოქის ნამგალითა და უროთი გაწყობილი ფორმის ქუდი, ქუსლებზე შეტრიალდა და წავიდა.**

**ამ ავტოინსპექტორის წყალობით მუზეუმში მივედით იმ დროს, როდესაც იკეტებოდა.**

**82 წლის გივი ელიავამ, რომელიც მუზეუმის დირექტორი იყო, უხალისოდ შეგვხვდა და თავიდან არ მოინდომა ჩვენი შეშვება.**

**„ძალიან გთხოვთ“ – შეეხვეწა გურამი – „ამ ქალბატონმა გრძელი გზა გამოიარა ამერიკიდან, რომ ენახა თქვენი მეეტლე“.**

**ელიავამ შუბლი შეიკრა – „მოდით 45 წუთის შემდეგ“, – გვიპასუხა მან.**

**როდესაც დავბრუნდით დირექტორს ხელში ეჭირა პატარა მუყაოს ყუთი, რომელსაც ხელით ელოლიავებოდა.**

**გაღიმებულმა მუყაოს ყუთს თავი მოხადა და შიგ დავინახე პატარა ბრინჯაოს მამაკაცის ქანდაკება, რომელსაც ხელები გაშვერილი ჰქონდა, თითქოს ეტლის სადავეები ეჭირა. დაახლოებით ერთ-ნახევარი დიუმის სიმაღლის იყო.**

**ეს ფიგურა აღმოაჩინეს 1975 წელს, იქვე ახლომდებარე სოფელში, კოლხური ნეკროპოლის გათხრების დროს.**

**ნეკროპოლი თარიღდება მერვე საუკუნის მეორე ნახევრის და მეშვიდეს პირველი ნახევრის პერიოდით. ის შეიცავს სტანდარტულ კოლექტიურ სამარხებს, ტიპიურ ზოომორფიკულ კერამიკებს, სამკაულებს, იარაღებს და ბრინჯაოს ცხოველთა ფიგურებს.**

**– „ეს მეეტლე ნამდვილად არაჩვეულებრივია“ – თქვა გურამმა – „მსგავსი არაფერი არ აღმოუჩენიათ კოლხეთში და ახლომდებარე ადგილებში“, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს იმ ბერძნულ მეეტლეს (მე-8 ს.), რომელიც აღმოჩენილ იქნა საბერძნეთში.**

**პროფ. ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ ეს შეიძლება იყოს ბერძნული იმპორტი, შესაძლოა ყველაზე ადრეული მთელ შავიზღვისპირეთში.**

**ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო.**

**მეცნიერებს შორის გავრცელებული საერთო შეხედულების მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია არქეოლოგიურ ფაქტებზე, ბერძნების პირველი კონტაქტი სხვა ხალხებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, დამყარდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მეშვიდე საუკუნის ბოლოს.**

**მე ვკითხე ლორთქიფანიძეს იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ეხება ბერძნების ყოფნას შავიზღვისპირეთში უფრო ადრეულ პერიოდში ვიდრე მერვე საუკუნემდე.**

**მან მიპასუხა – „მერვე საუკუნეში აქტიური კონტაქტები იყო კოლხებთან, საბერძნეთის კუნძულ სამოსზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ზარები და ფიგურები, რომელიც მერვე საუკუნით თარიღდება, ისინი გარკვეულად კოლხურია. და აქაც ზუსტად იგივე, მსგავსი ნივთები აღმოვაჩინეთ, ბერძნული თიხის ფორმა, დიზაინი დამახასიათებელი გეომეტრიული ხელოვნების – ეს ყველაფერი გამოჩნდა კოლხეთში მერვე საუკუნეში. დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს კავშირი ამ მრავალთავიან ცხოველის ფიგურებს შორის, რომლებიც აღმოაჩინეს ვანში და ოლიმპოში. თვალი გადავავლოთ ლიტერატურულ მტკიცებულებებს, უკვე მერვე და მეშვიდე საუკუნეებში, ბერძნები მოიხსენიებენ კოლხეთს და ფაზისს. ამ დროისათვის ლეგენდა არგონავტების შესახებ ძალიან პოპულარულია, ბერძნები ამით დაინტერესებულნი იყვნენ“.**

**მე ისევ შევეკითხე – „ნამდვილად იმოგზაურებდნენ ბერძნები შავიზღვისპირეთში ბრინჯაოს ხეობაში, როგორც ამაში ჰომეროსი გვარწმუნებს?“**

**ლორთქიფანიძემ გაიღიმა და მიპასუხა – „თუმცა ჯერ არ არსებობს ამ მოგზაურობის არქეოლოგიური მტკიცებულებები, მაგრამ მე მჯერა მითი იაზონის და არგონავტების შესახებ ნათლად აისახება ადრეულ ბერძნულ გამოკვლევებში – ტროა არ იყო ფანტაზიის ნაყოფი ბერძნებისათვის“.**

მუზეუმის ე. წ. ოქროს ფონდში დაცულია უცხოელ ავტორთა პირადი წერილები და მათივე შთაბეჭდილებანი. ამ მასალებიდან კიდევ უფრო მასშტაბური ხდება ურთიერთობა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და უცხოელ ავტორთა შორის, რომელსაც აქვე გავეცნობით. დიდის კმაყოფილებით მე მეორედ ჩამოვედი და გავეცანი სამეგრელოს კულტურის ღირსშესანიშნავ ძეგლებს. მე ვუსურვებ ყველას ბევრ სიხარულს და მომავალ განვითარებას.

**დოქტორი – პროფესორი ფორესტი,**
**პოლინეთი 20.04.65 წ.**

წრფელი სიხარულით და დიდის სიამოვნებით მე ჩამოვედი საქართველოში და გავეცანი აქაურ კულტურას და ხალხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელახლა ჩამოვალ თქვენს მშვენიერ მხარეში და მექნება შესაძლებლობა უფრო ახლოს გავეცნო თქვენს კულტურას. მე მოხარული ვიქნები უფრო მეგობრული ურთიერთობა იქნეს პოლონელ და ქართველ ხალხს შორის.

**დოქტორი, პროფესორი ბავორსკი,**
**პოლონეთი 20.04.65 წ.**

დიდი მადლობა თქვენი სტუმართმოყვარეობისათვის და დახმარებისათვის.

თქვენი შესანიშნავი კოლექცია არქეოლოგიური მასალებისა ფასდაუდებელი იქნება ჩემი სამუშაოსათვის.

**კარინა ბ. გუდმანი,**
**ისტორიის დეპარტამენტი, მელბურნის უნივერსიტეტი, ვიქტორია – ავსტრალია,**
**1988 წ.**

**მე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მენახა ასეთი ბევრი ლამაზი ნივთები ამ მუზეუმში.**

**მადლობას ვუხდი პროფესორ გივი ელიავას.**

**მარიონ ქუპნენი, 20.08.91 წ.**

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვეწვიე ამ მუზეუმს. ეს ჩემთვის რაღაც ახალია, რადგანაც ძალიან ცოტა ვიცი მსოფლიოს ამ ნაწილის შესახებ.

მე ახლა ცოტა რაღაც მაინც ვიცი სამეგრელოს ისტორიის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ხალხს, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს, საუკეთესო მომავალი ექნება.

ღმერთმა დალოცოს თქვენი ხალხი და თქვენი ქვეყანა.

**ილია ჰოდორი,**
**უნგრელი მეცნიერი**

რაოდენ მნიშვნელოვან საქმეს ეწევიან მუზეუმის მეცნიერები ბატონი გივი ელიავას ხელმძღვანელობით. პირდაპირ გაოცებული ვარ, რამდენი იშრომეს და რა ბრწყინვალე შედეგი მიიღეს აქტიურმა თანამშრომლებმა.

**პროფ. ჰანც ფაინრიხი,**
**იენა, გერმანია**

ლონდონის უნივერსიტეტის სახელით მივესალმები გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივს, თავისი შესანიშნავი მუშაობისა და ქართული კულტურის და მიღწევების შესწავლის საქმეში.

**პროფ. დევიდ**
**ლენგი, ლონდონი**

მე ძალიან კმაყოფილი ვარ, თქვენი ყოველმხრივ საინტერესო მუზეუმით და არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით.

**პროფ. ლოჟოე ლოლოტი,**
**ჰამბურგი, გერმანია**

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, მენახა ასეთი მდიდარი მუზეუმი ჩემს მშობლიურ მხარეში.

მარტვილი არის ერთ-ერთი ლამაზი პროვინცია საქართველოში.

მე ვუსურვებ ამ მუზეუმის დამფუძნებელს პატივცემულ პროფესორ გივი ელიავას ჯანმრთელობას, ბედნიერებას მის კოლეგებთან ერთად.

**გულწრფელად ნიკო თოფურია,**
**ნიუ-იორკი, ქართული სათვისტომოს მდივანი ნიუ-იორკში**

მუზეუმი ძალიან მომეწონა და ისევ მინდა ნახვა. გისურვებთ წარმატებებს.

**მარტვილის მეგობარი**
**საფრანგეთიდან როჟე ლუდვიგი**

დიდის ინტერესით დავათვალიერე მარტვილის მუზეუმი. აქ დაცული ექსპონატები საინტერესოა. გულითად მადლობას გიხდით თქვენი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის.

**ვოლფგანგ ფოიერშტაინი, 20.10.2001 წ.**
(ეთნოლოგი, საერთაშორისო ორგანიზაცია **„კაჭკარის“** თავმჯდომარე (**„კაჭკარი“** – საერთაშორისო გაერთიანება სამხრეთ კავკასიური ენებისა და კულტურის. ქართულ და მეგრულ ენების მცოდნე ფლობს ლაზურ ენასაც.).

ჩემთვის დიდი პატივია ამ საინტერესო მუზეუმის დათვალიერება, ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ ჩვენ მე და სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მოგვაწოდეთ ასეთი შესანიშნავი ისტორიები და ამბები. გისურვებთ წარმატებებს.

**შერონ დანი,**
**მშვიდობის კორპუსის მოხალისე სიეტლიდან, ვაშინგტონის შტატი, აშშ**

გავიგე, რომ ადგენთ მეგრულ-ქართულ ლექსიკონს, ძალიან მაინტერესებს ამ ლექსიკონის ერთი ეგზემპლარის შეძენა.

**დანიელ ლევი, აშშ**

**(მასალები ინგლისურიდან თარგმნა პედაგოგმა მარინა შირავამ)**

**გვერდი მოამზადა**
**პეტრე კირთაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



სერგეი კრემლიოვი

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ასე რომ, საქართველოს ისტორიულ ნარკვევზე სტატიაში, ქვეთავით **"მუშათა მოძრაობის დასაწყისი და სოციალ-დემოკრატია"** პირველად ნახსენებია ფილიპე მახარაძე. აქვე მოყვანილია მისი ციტატა, რომელიც ასე იწყება: **"1894 წელს საფუძველი ეყრება პირველ მარქსისტულ ჯგუფს..."** და ა.შ. და ესეც გარკვეული მინიშნებაა მკითხველისათვის: პირველად კავკასიაში ბოლშევიკური **"მიაუ"** დაიძახა არა ამხანაგმა სტალინმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას დიდი როლი არ უთამაშია კავკასიაში მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში.

მაშ ასე, პირველად მოხსენიებულია ფილიპე მახარაძე... მაგრამ, იქნებ შემდეგ მაინც არის მოხსენიებული სტალინის სახელი? არავითარ შემთხვევაში — მას მეორე ადგილიც კი არ უჭირავს... ვინაიდან, მეორე კაცად მოხსენიებულია ნოე ჟორდანია... მართალია, იგი დახასიათებულია როგორც **"მემარჯვენე-ოპორტუნისტული"** მიმდინარეობის ლიდერი, განსხვავებით **"ორთოდოქს-მარქსისტებისაგან"**, რომელთა სათავეში იდგნენ მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სოსო ჯუღაშვილი (სტალინი) ალექსანდრე წულუკიძე და სხვები...

მაშ ასე, იოსებ სტალინი მოხსენიებულია მხოლოდ მეოთხე ნომრად. შემდეგ კი მაინც ჟორდანიას მოღვაწეობაა მიმოხილული მეტად ვრცლად. და მხოლოდ შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ 1903 წლის დასაწყისში **"ირჩევენ საბჭოს კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედიან უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი (შემდგომში "ბოლშევიკები") ცხაკაია, მახარაძე, კნუნიანცი, ზურაბოვი, წულუკიძე, ბოჭორიშვილი, სტალინი და სხვები"**. ავტორი კბილებში გამოცრის, რომ ამიერკავკასიის რევოლუციურ ფრთაში ხელმძღვანელ ადგილს თანდათან იკავებს სტალინი.

მაგრამ შემდეგ, 582-598 გვერდებზე, ქვეთავებში **"ორ რევოლუციას შორის", "ხელისუფლების ორგანიზაცია თებერვლის რევოლუციის პერიოდში", "ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა საქართველოსათვის", "ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან", "მენშევიკური დიქტატურა საქართველოში", "ბოლშევიკური ორგანიზაცია 1918-20 წლებში", "გლეხების 1918-1921 წლის აჯანყება", "მენშევიკთა ხელისუფლების დასასრული"** და **"მენშევიკთა ანტისაბჭოთა მოღვაწეობა"** სტალინის სახელი **საერთოდ არ არის ნახსენები**.

საერთოდ!

**"რენეგატი ჯუღელიც"** კი არის მოხსენებული (ალბათ იმიტომ, რომ იგი ძალზე მიაგავს გვარ ჯუღაშვილს), სტალინის სახელი კი — არა!

ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საკუთარ თვალებს არ დავუჯერე და ტექსტს კიდევ ერთხელ გადავხედე... არა, ყველაფერი ასეა — სტალინის ხსენებაც კი არ არის.

ასევე არ არის ნახსენები სერგო ორჯონიკიძის სახელი, არც კიროვის სახელი... სამაგიეროს რამდენჯერმე არის მოხსენიებული ნოე ჟორდანია, ასევე მახარაძე, ნაზარეთიანი, ქავთარაძე, მრავიანი, ცხაკაია, შაუმიანი და ჯაფარიძე (ორი უკანასკნელი ბაქოს 26 კომისართა შემადგენლობაში დახვრიტეს), ოკუჯავა, ორახელაშვილი **"და სხვები"**.

სტალინი, როგორც ჩანს, ამ **"სხვებში"** მოხვდა.

**"დემოკრატები"** კი ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ ანტიპარტიულ ცენტრთა მოღვაწეობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოგონებულია.

ამ ენციკლოპედიის ბიბლიოგრაფიაში ასევე არაა მოხმობილი სტალინის ნაშრომები. სამაგიეროდ, გამოყენებულია ფილიპე მახარაძის, ელენე დრაბკინას და ვიღაც გ. ნათაძისა და ს. კაკაბაძის შრომები.

და ეს არის დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მოსკოვში გამოცემული! უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ იქნებოდა თვით საქართველოში საქმე ბერიამდე, როცა რესპუბლიკას ხელმძღვანელობდნენ **"მარქსიზმის პატრიარქები"** მდივანი, ელიავა და ორახელაშვილი!

ასე რომ, იყო თუ არა აუცილებელი, რომ სტალინის როლის თაობაზე ახალგაზრდა კომუნისტებს, კომკავშირლებსა და უპარტიო ახალგაზრდებს ეზრუნათ? არა და, პიონერებიც ხომ იზრდებოდნენ? ის კი არა, ვინც 1921 წელს დაიბადა, 1935 წელს უკვე კომკავშირლები იყვნენ.

ახალგაზრდებს დიდად არ სჯერათ მხოლოდ სიტყვიერი მტკიცებულებების. ენციკლოპედიაში სტალინის ნაშრომები საერთოდ არ არის ნახსენები, სამაგიეროდ, **"აღიარებული ბოლშევიკები"** მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა და მამია ორახელაშვილები გაოცებას ვერ მალავენ: **"როგორი ბელადია იგი?"**

მენშევიკები კი ჩურჩულებენ: ისეთი ბრძენი კაცი, როგორიც იყო ნოე ჟორდანია, სტალინს ბარბაროსად მოიხსენიებდა.

ახალგაზრდა თაობას კი არ შეიძლებოდა არ დაბადებოდა შეკითხვა: **"მართლაც იყო თუ არა სტალინი ამიერკავკასიის №1 ბოლშევიკი და "კავკასიელთა ლენინი", როგორც ახლა ამას გაზეთი "ზარია ვოსტოკა" წერს"**?

ამას უბრალო ახსნა შეიძლება მოეძებნოს — ეს არ გახლდათ შემთხვევითი უყურადღებობა, რადგან მაშინ მიმდინარეობდა ბრძოლა ტროცკისტებსა და ბოლშევიკურ ბირთვს შორის, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა. და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული სტატიის **"ობიექტურობა"** იმის დასტური იყო, რომ ტროცკისტებისა და ოპოზიციონერების მიერ (ვიმეორებ — ისინი ენციკლოპედიის საბჭოში მრავლად იყვნენ) გაჩაღებულ ბრძოლაში გამოიყენებოდა ნებისმიერი მეთოდი. ტყუილად კი არ დაავიწყდათ ქართველ **"ენციკლოპედისტებს"** არა მხოლოდ სტალინის, არამედ ორჯონიკიძისა და კიროვის ხსენებაც, და ანასტას მიქოიანისიც...

ფაქტიურად ოპოზიცია მხოლოდ კი არ ამახინჯებდა სტალინის როლს ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის საქმეში, არამედ, ცდილობდა დაეკნინებინა სტალინის როლი ქვეყნის აღმაშენებლობის საქმეშიც, რომელსაც ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავდა საბჭოთა კავშირი.

ახალგაზრდობა კი მოკლებული იყო რეალური ისტორიის გაცნობის საშუალებას.

და ეს ინფორმაციული ვაკუუმი გარკვეულწილად შეავსო ბერიას ბროშურამ, მაგრამ კიდევ უფრო უპრიანი იქნებოდა სტალინის ნაშრომების ხელმეორედ გამოცემა. ეს ჭორებსაც უკუაგდებდა და ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმესაც შეუწყობდა ხელს.

სტალინმა ხომ ჭეშმარიტად დაიმსახურა, რომ მისთვის **"კავკასიელი ლენინი"** წოდებინათ! იმსახურებდა როგორც ბოლშევიკური მოძრაობის პრაქტიკოსი და როგორც მისი იდეოლოგი.

ასე რომ, ბერია მლიქვნელი კი არ არის, არამედ პოლიტიკოსია, რომელიც დაინტერესებულია მასების პოლიტიკური აღზრდით.

ასე არ არის?

სტალინი კი მოითხოვდა, რომ ბერია პოლიტბიუროს აეძულებინა, რომ მეორედ არ გამოეცა ნაშრომი მისი სანქციის გარეშე. ბერიას მცდელობა კი ახდენდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ფრიად ობიექტური და აქტუალური დადგენილების ინიცირებას — **"მიჩნეულ იქნას აუცილებლად სტალინის ნაშრომთა სრული კრებულის გამოცემა და დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს... შეიმუშაოს საგამოცემო გეგმა"**.

"**იმელის**" დირექტორის მოადგილედ მაშინ მამია ორახელაშვილი მუშაობდა. მაგრამ, მან და სხვებმა იმდენად **"დააჩქარეს"** ამ კრებულის გამოცემაზე მუშაობს, რომ წიგნმა მზის შუქი იხილა მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ (პირველის გამოცემის ავტორის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1946 წლის იანვრით).

აი, როგორია **"პიროვნების კულტისათვის"** დამახასიათებელი ერთ-ერთი წვრილმანი...

როგორ გგონიათ, **"კობას ნაჯღაბნისათვის"** ეცალა მაშინ მამია ორახელაშვილს? 1935 წელს იგი დღედალამ პარტიიდან ახლადგარიცხულ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებულ აბელ ენუქიძესთან ერთად იჯდა, რომელიც საკავშირო აღმასკომის რწუნებულად მუშაობდა კისლოვოდსკში, მინერალოგიის ჯგუფთან ერთად. სექტემბერში სტალინი სოჭიდან წერდა:

**"ენუქიძე არ აღიარებს საკუთარ დაცემას და არც თავმდაბლობა აწუხებს... პოლიტიკობანას თამაშობს, თავს უყრის უკმაყოფილოებს და საკუთარ თავს პარტიაში განვითარებული ცხარე მოვლენების მსხვერპლად აცხადებს..."**

აი, როგორ ვითარდებოდა მოვლენები პარტიასა და ქვეყანაში! ერთის მხრივ სტალინი და ბერია საკუთარი მხრებით ეზიდებოდნენ ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ საქმეებს. მეორე მხრივ კი: **"სტალინის მსხვერპლი"** — გახრწნილი ენუქიძე და **"ბერიას მსხვერპლი"** — თავგასული ორახელაშვილი.

და დღედადღე, ეს დაპირისპირება, მთლიანად ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, განუხრელად მწვავდებოდა.

ის ამ მხარეში არასოდეს შესუსტებულა. პოლიტიკასთან დამოკიდებულებაში ხომ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სირთულით.

აღმოსავლეთი რომ უაღრესად ფაქიზი საქმეა, ეს ჩვენ კარგად ვიცით. საქართველოში, რუსეთის ყველა აღმოსავლეთ რეგიონებს შორის, ყოველთვის განვითარებული იყო პოლიტიკური ინტელიგენტობა.

ევროპული მასშტაბებით თუ მივუდგებით, შუა აზია ჯერ კიდევ პოლიტიკურ ქალწულად რჩებოდა. აზერბაიჯანზე მიმდინარეობდა ძლიერი კოსმოპოლიტური დაწოლა, იმდენად, რამდენადაც ნავთობი აფრიკაშიც ნავთობია. რაც შეეხება სომხეთს, რომელიც ნაციონალისტი პოლიტიკოსებით იყო გადაჭედილი, მათ შორის ნაკლებად მოიძებნებოდნენ რუსეთის პოლიტიკურ არენაზე წარმატებით მოსაპარეზე პოლიტიკოსები. ასე რომ, საქართველოს ყველას ჩაისვამდა ჯიბეში.

ჟორდანია, გეგეჭკორი, წერეთელი — ესენი მთლიანად რუსეთის პირველი სიდიდის **"ვარსკვლავები"** იყვნენ. ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ბაძავდა მათ, თუმცა ნაციონალურ პოზიციაზე შორს მაინც ვერ მიდიოდნენ.

სამწუხაროდ, **"ვარსკვლავის"** ამბიცია გააჩნდა ბევრ წამყვან ქართველ ბოლშევიკსაც. საქართველოში კი, როგორც რევოლუციამდე იყო პოპულარული მენშევიზმი, ახლა იგივე პოპულარობით სარგებლობდა ტროცკიზმი. მხოლოდ არა პოლიტიკური მნიშვნელობით — ქართველ ბოლშევიკებს დიდად არ აღაფრთოვანებდა მსოფლიო რევოლუციის იდეა, ფსიქოლოგიური მნიშვნელობით კი — ისე რა!

კორნეი ჩუკოვსკის აქვს შექმნილი ტროცკისტთა შესანიშნავი ფსიქოლოგიური პორტრეტი თავისი 1933 წლის 28 ნოემბრის დღიურში, სადაც იგი წერდა:

***"ტროცკისტები ყოველთვის მძულდა არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური მოღვაწეები, არამედ როგორც ხასიათის გამოვლინება. მე არ მიყვარს მათი მიდრეკილება ფრაზეოლოგიისადმი, მათი ჟესტიკულაცია, მათი პათეტიკა. მე ვერასდროს ვიტანდი ესთეტიურად მათ ბელადს: თავისი ქოჩრით, ჩამოქნილი წვერით, პროვინციალური დემონიზმით. ესაა მეფისტოფელისა და ნაფიცი მსაჯულის რწმუნებულის ნარევი..."***

ეს პორტრეტი დამახასიათებელი გახლდათ ბერიას მრავალი კავკასიელი პოლიტიკური ოპონენტისათვის.

და ეს ოპონენტები მას საკმარისად ჰყავდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, რომელიც აშკარად სჩანს თუნდაც სტალინის წერილში, რომელიც მან 1933 წლის 2 ნოემბერს სოჭიდან მოსკოვში გადააგზავნა:

*"კაგანოვიჩს, მოლოტოვს,*

*"პრავდის" დამოკიდებულება ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების მიმართ რაღაც უცნაურ ხასიათს იძენს. ნავთობის, ბამბეულის, აფხაზეთის თამბაქოს წარმოების მხრივ ამიერკავკასიის ფედერაციამ და ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ამის თაობაზე "პრავდაში" შესაბამისი პატაკია შესული. გაზეთი კი ამ ფაქტს ჩქმალავს და პატაკებს არ აქვეყნებს. ქვეყნდება ჩუვაშეთის და უდმურტეთის პატაკები. ამიერკავკასიის პატაკები კი "პრავდაში" "ლპება". გაზეთი ხოტბას ასხმას ბარინოვს, რომელიც ფაქტიურად მუხრუჭია ნავთობის მოპოვების საქმეში, პარტორგანიზაციების დამსახურებაზე კი არაფერს ამბობენ. და ამ უმსგავსოებას უშვებს პარტიის ორგანო "პრავდა". ვფიქრობ, რომ ამაში დამნაშავეა კახიანი, რომელიც მტრად არის გადაკიდებული ამიერკავკასიის ახლანდელ ხელმძღვანელობას. დროა, ბოლო მოეღოს ამგვარ უმსგავსოებას! დროა, "პრავდის" ხელმძღვანელობა გაიწმინდოს მემარცხენე ბურჟუაზთა რადიკალების — კოსტანიანის, ლომინაძისა და სხვა "მეგობრებისაგან".*

*სტალინი".*

ბარინოვი გახლდათ 45 წლის კაცი, ტრესტ **"აზნავთობის"** მმართველი, ძველი ბოლშევიკი (მრავალი მათგანი, სხვათა შორის, უკვე ავლენდა სრულ შეუსაბამობას დაკავებულ თანამდებობასთან).

კოსტანიანი იყო სომხეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

კახიანი — **"პრავდის"** სარედაქციო კოლეგიის წევრი, მაგრამ, მას და ლომინაძეს მე მოგვიანებით დავუბრუნდები, ახლა კი იმას აღვნიშნავ, რომ კახიანი ჩქმალავდა მისი მშობლიური მხარის — ამიერკავკასიის წარმატების აღმნიშვნელ ინფორმაციას მხოლოდ იმიტომ, რომ მტკივნეული ჩხვლეტა მიეყენებინა ბერიასათვის.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიდუმლო ოპერაცია ბარბაროსა“

ანუ

## რა მიზანს ემსახურება ოთხი უნივერსიტეტის მოსალოდნელი დახურვა



*ოპერაციას, რომელსაც თბილისის მერია დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებზე თავდასასხმელად ამზადებს, ისე ასაიდუმლოებენ, როგორც თავის დროზე ჰიტლერი ოპერაცია „ბარბაროსას“ – საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.*

*არ გაჟონოს ამ თათბირიდან არც ერთმა სიტყვამო, დაუთქვამთ „საიდუმლო სერობაზე“, რომელიც ქალაქის მერიაში გაუმართავთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, „...არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს და საიდუმლო, რომელი არ შეიტყობა“ (მათ. 10,26).*

*რატომ დასჭირდათ ასეთი პირის შეკვრა და სიტყვის ოთხ კედელში გამომწყვდევა პატივცემულ ქალაქის მამებს, თუ რამ მზაკვრული ჩანაფიქრი არა?*

*ეჭვი იმიტომაც ჩნდება, რომ დედაქალაქის მერია და საკრებულო ისეთ სფეროებს მიადგა, რომლებთანაც არაფერი ესაქმებათ, უფრო ზუსტად, მათი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.*

და ესაა, უწინარეს ყოვლისა, დაეჭვების საფუძველი: რას უმალავთ ხალხს, პატივცემულებო? რას ჩურჩულებთ დახურულ კარს მიღმა? ისეთი რა სიყვარული შეგეყარათ თბილისელების მიმართ, რომ მალავთ, **„ვითა ცხენსა ნაპარავსა?“**

რისი მოსპობა და განადგურება განიზრახეს ახალი **„ბარბაროსას“** ავტორებმა, რა ახალ უბედურებას უმზადებენ ქართველობას?

პირდაპირ და დაუფარავად გეტყვით: **განსახორციელებლად მზადდება ჩვენი ერის დეგრადაციისკენ მიმართული დიდი პროგრამის ახალი ეტაპი, მისი ინტელექტუალური პოტენციალის ამოძირკვისა და გაქრობის მასშტაბური ღონისძიება.**

ახლა კი – საუბარი პირველწყაროსთან, რომელმაც გაბედა და გამოიტანა ეს ინფორმაცია ისევე, როგორც თავის დროზე ჰიტლერის ზეგასაიდუმლოებული დირექტივა მზვერავებმა სტალინს მაგიდაზე დაუდეს.

**ცნობისთვის: ფიურერის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თათბირების სტენოგრამები, როგორც წესი, ბერიას უწყების შესაბამისი მთავარი სამმართველოს პროფესიონალების ძალისხმევით უმაღლეს მთავარსარდალს მეორე დღესვე მოხსენდებოდა ხოლმე.**

მკითხველი უთუოდ გაგებით მოეკიდება რესპონდენტის სურვილს, დარჩეს ინკოგნიტოდ.

– პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმ თათბირზეც კი მისი ავტორები და ორგანიზატორები ლაპარაკობდნენ, როგორც შესაძლებელზე, როგორც იდეაზე და მოწვეულთაგან აზრის გამოთქმას, პოზიციის დაფიქსირებას ითხოვდნენ ამასთან დაკავშირებით.

როგორც ახლა ამბობენ, მოსინჯვის რეჟიმში მიმდინარეობდა ეს შეხვედრა, ამიტომ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შემიძლია, რა განზრახვით აპირებენ თავიანთი ჩანაფიქრის რეალიზაციას.

ფორმალური შემოთავაზება ასეთია: მსოფლიოში არსებულ კამპუსების სისტემაზე დაყრდნობით და აქედან გამომდინარე, თბილისში, **აშშ** ახალი საელჩოს ტერიტორიის მახლობლად, გვარწმუნებენ – ივანიშვილის დაფინანსებით, უნდა აიგოს საუნივერსიტეტო ქალაქი, სადაც გადავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის (ყოფილი უცხო ენათა), ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტები.

**– გემატებათ, მრავლდებით: ძველ სასწავლო კორპუსებს ახალი თუ შეემატება, ამას რა სჯობია!**

– მოდით, გავარკვიოთ კამპუსების არსი. ეს არის ახალი უნივერსიტეტები, რომლებიც არ გამორიცხავს ძველის ფუნქციონირებას. მაგალითად, ინგლისში შესანიშნავად თანაარსებობს თანამედროვე უმაღლესები და კემბრიჯი და ოქსფორდი, რომელთა შერწყმა და გაუქმება აზრად არავის მოსვლია. ერთი უნივერსიტეტის ჭერქვეშ რამდენიმეს გაერთიანების იდეა იმდენად აბსურდულია, რომ არ შეიძლება გახდეს ადამიანების სერიოზული მსჯელობის საგანი.

იმ თათბირზე იყო მცდელობა, გაერკვიათ, რას უპირებენ ტრადიციულ უმაღლესებს, მათ კუთვნილ კორპუსებს.

ცოტა უხერხულია თითქოს ასეთი შეკითხვის დასმა – ახალს გაძლევენ, პირობებს გიუმჯობესებენ და შენ ის გაწუხებს, ძველი ვის ხელში გადავა?

პასუხი: ძველს დაგიტოვებთო.

კარგია: სასწავლო პროცესის რაღაც ნაწილს ტრადიციულ ადგილზე დავტოვებთ, სხვას – ახალ ადგილზე გადავიტანთ, თუ უფლებას მოგვცემენ, აღვადგენთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, პრაქტიკულსაც მოვკიდებთ ხელს, ჩვენი პროფილის საწარმოებს ავამოქმედებთ და ა.შ. ამჟამად ამის გაკეთების არც უფლება გვაქვს, არც საშუალება.

**– საუნივერსიტეტო მეცნიერება, რომელიც მთელ განათლებულ მსოფლიოში არა მარტო მიღებული მიმართულებაა, არამედ წამყვანიც, ჩვენთან მომსპარია...**

– დიახ, ჩვენთან საგანმანათლებლო **„რეფორმას“** შეეწირა. სხვათა შორის, აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც აღგვილია პირისაგან მიწისა.

**– და ჩვენმა სამეცნიერო წრეებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ ეს გადაყლაპა.**

– სამწუხაროდ, უშედეგო გამოდგა ჩვენი წინააღმდეგობა ამგვარი ვოლუნტარიზმის მიმართ: ძალამ მოხნა აღმართი... მწარე გამოცდილება გვაქვს და ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი დაინტერესება იმით, თუ როგორი პერსპექტივა ისახება ჩვენი უმაღლესებისათვის, როცა (ან თუ) კამპუსების პრინციპზე გადავალთ: გვექნება საშუალება, გავშალოთ და გავაფართოოდ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა, თუ ის შენობები, რომლებიც დღეს უზურფრუქტით გვაქვს გადმოცემული, ისევე გაიყიდება, როგორც, მაგალითად, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ოთხი კორპუსი, სტადიონი, მაშინ ხომ მოგვიწევს დაკმაყოფილება იმით, რასაც გაიმეტებენ და გადმოგვცემენ საუნივერსიტეტო ქალაქში, რომელიც ჯერჯერობით პროექტის დონეზეც არ არსებობს, ცარიელი იდეაა.

ამას სხვებზე მეტად პოლიტექნიკური უნივერსიტეტი განიცდის, თორემ **თსუ** (რექტორი **გ. ხუბუა**), ილია ჭავჭავაძის (რექტორი **გ. თევზაძე**) და სამედიცინო (რექტორი **ზ. ვადაჭკორია**) უნივერსიტეტები ორივე ხელით მხარს უჭერენ შემოთავაზებულ იდეას.

**– ხელისუფლების ხელდასმული რექტორები ჰყავთ და სხვაგვარად არ ეგების... თანაც, თუ გახსოვთ, გიგი თევზაძე რომ მოაქციეს საუნივერსიტეტო ტალღის მწვერვალზე, მაშინვე ითქვა, რომ უმაღლესი განათლების მომავალი მონოსისტემა მის ხელქვეით მოექცევაო.**

– მგონი, აქეთ მივყავართ. ჯერ ერთი, ეს ხელისუფლება თუ სათავისო სარგებელს არ მიიღებს, სომეხი სოვდაგრისა არ იყოს, არაფერს მოგცემს. მით უფრო, **„ევროპული სტანდარტების დონეზე“**.

აქედან მომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ ის შენობები, რომლებშიც ამჟამად ეს ოთხი უმაღლესი სკოლაა განთავსებული, გაიყიდება.

**– და „ალმა მატერის“, რომელიც ჩვენი ისტორიის ნათელი ნიშანსვეტია, რომელიმე კედელზე მიაკრავენ მემორიალურ დაფას: „ამ შენობაში 1918 წლიდან 2009 წლამდე ფუნქციონირებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.**

– შავი იუმორია! უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მართლაც სჭირდება განახლება, გაძლიერება, გათამედროვება, მაგრამ არა ასეთი მზაკვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. კომუნისტების დროს, როცა დაიგეგმა და აშენდა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, სამკითხველო და ბიბლიოთეკა, წიგნთსაცავი, არქივი და სხვა, საერთო საუნივერსიტეტო საძირკვლიდან ძველი კორპუსების გამოცლა აზრადაც არავის მოსვლია.

**– რომელ მზაკვრულ ჩანაფიქრზე საუბრობთ?**

– რომელსაც თავის დროზე, დაახლოებით ათი წლის წინათ, გვთავაზობდა მსოფლიო ბანკი: თქვენნაირი ეკონომიკის მქონე ქვეყანას ერთი უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს, თქვენი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ერთი უნივერსიტეტი სავსებით საკმარისი იქნებაო.

**– ფიქრობთ, რომ ოთხი ტრადიციული უნივერსიტეტის თავმოყრა, პირველი ნაბიჯია მათი გაერთიანებისკენ გადადგმული?**

– აქეთ მიდის საქმე, ჩემი აზრით. ერთად განვსაჯოთ: პოლიტექნიკურში არის ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს სწავლობენ **თსუ**-შიც. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, სამედიცინო საქმეს – სამედიცინო უნივერსიტეტშიც და **თსუ**-შიც. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად დადგება პარალელიზმის პრობლემა და, ოპტიმიზაციის მიზნით, შემცირებასაც დაიწყებენ, საგნების, ფაკულტეტების, უნივერსიტეტებისაც. შექმნიან ერთს, ერთი უნივერსიტეტით დაკმაყოფილდებიან, რომელსაც სათავეში ჩაუყენებენ თავიანთ კაცს, ვინც მათ იდეოლოგიას არა მარტო იზიარებას, არამედ მართავს და განახორციელებს: აქტიურად იბრძვის ქართველი ერის ინდივიდუალობის წინააღმდეგ, **„მსოფლიო მოქალაქის“** იდეის ჩასანერგად ჩვენს ცნობიერებაში და ა.შ. ყველამ ძალიან კარგად იცის, კონკრეტულად ვინ არის ამ თვისებებით შემკული და ვის უმზადებენ რექტორის სავარძელს.

**– გასაკვირი ის იქნებოდა, კანდიდატურა კარგა ხნის წინათ რომ არ ჰყოლოდათ შერჩეული...**

– ეს ერთი მხარეა. უნივერსიტეტების გაერთიანებას სხვა ნეგატიური შედეგიც თან სდევს. ბევრი უნივერსიტეტის არსებობა კარგია თუნდაც იმიტომ, რომ ხელს უწყობს კონკურენციას, უმაღლესი სწავლების, სამეცნიერო მუშაობის პროცესების სრულყოფას, დახვეწას. ერთი უნივერსიტეტი უკონკურენტოდ საკუთარ წვენში მოიხარშება, აქედან კი ერთი გზაა სტაგნაციამდე...

თან გვეუბნებიან – ახლა კი არა, ათი წლის შემდეგო.

ამასწინათ ერთ-ერთი გაზეთი დაინტერესდა ამ საკითხით – რას ფიქრობენ უნივერსიტეტების ხელმძღვანელებიო. დარეკეს კიდეც. უპასუხეს, რომ იდეა ნედლია და კონკრეტულად რაიმეს თქმა გადაჭრით ნაადრევი ხომ არ არისო?

როგორ გეკადრებათ: სამმა უნივერსიტეტმა უკვე ჩააბარა თავისი მონაცემები, და, რაც მალე შეგროვდება ყველა მასალა, იმდენად მალე გადაწყდება კიდეცო.

**– ეს მასალები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩააბარეს?**

– არა, სამინისტრო ამ შემთხვევაში არ აქტიურობს. გიგი თევზაძეა წარმოდგენილი კოორდინატორად. მონაცემები მართლაც გადაეცა აღნიშნულ პიროვნებას – რა ვითარებაა დღეს, რას წარმოადგენს თითოეული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რა გეგმებია დასახული სამომავლოდ და ა.შ.

**– საბჭოთა ტრადიციით, კომპარტიის გენერალური მდივნის გარდაცვალების შემთხვევაში, მომდევნო ლიდერად ინიშნებოდა ის, ვინც „გენსეკის“ დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას შეასრულებდა. უნივერსიტეტის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ (კოორდინატორად) გიგი თევზაძეს თუ წარმოვიდგენთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ იგია მომავალი რექტორი იმ ერთადერთი უნივერსიტეტისა.**

– არაფერი არ იცვლება ამ მზის ქვეშ!.. რედაქციიდან დარეკვა კი, მგონი, შემოწმება იყო – ძალაში რჩებოდა თუ არა შეთანხმება იდეის კონფიდენციურობის თაობაზე.

ამასობაში ისინი, ვისაც ამ იდეის მატერიალიზება აქვთ დავალებული, ენერგიულად ცდილობენ უმაღლესი სასწავლებლების თანხმობის მოპოვებას. სამი უნივერსიტეტი (თსუ, ილია ჭავჭავაძის სახელობისა და სამედიცინო), როგორც გითხარით, თანახმაა, პოლიტექნიკური ცდილობს თავისი პოზიციის დაცვას. მერია უღრუბლო მომავალს ხატავს.

**– რასთან დაკავშირებით?**

– საქმე ისაა, რომ ტერიტორია, რომელზეც სურთ საუნივერსიტეტო ქალაქის გაშენება, ძალიან დაშორებულია ცენტრს და სტუდენტობას გაუჭირდება ასეთი დიდი მანძილის გავლა დღეში ორჯერ – იქით და აქეთ. მეტროს ახალ ხაზს გაგიყვანთო – დაპირებებს არ იშურებს ქალაქის ხელმძღვანელობა.

ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ ეჭვი არ შეგეპარებათ – მათთვის მთავარია ვიღაცის დავალების უეჭველი შესრულება, დანარჩენს, რაგინდ არარეალური და არარაციონალური იყოს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ თითქო ერთბაშად გამოგვაღვიძა სასიამოვნო ძილისაგან და პირის-პირ დაგვაყენა, ცოტა არ იყოს, უსიმოვნო სინამდვილესთანო. რა თქმა უნდა, ალექსანდრეს ჩამოსვლა დააკავშირებული იყო უსლარის რაზმის გასალაშქრებად გასვლასთან, მაგრამ ერთბაშად მაინც გვიჭირდა გაგვეგო, რა ამბავი იყო.

გაგარინი დარბაზში გავიდა და ჩვენც უკან გავყევით. დადეშქელიანს სრული ფორმის ტანისამოსი ეცვა. პირველმა იმან დაიწყო ლაპარაკი.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ უდროო დროს გეახელით, მაგრამ მეტად დიდი ამბავი გახლავსთ. მხოლოდ ამ ოთხ დღეს წინად გავიგეთ მე და ჩემმა ძმამ, რომ რაზმი სადადეშქელიანო სვანეთისაკენ მოდის და მეც მაშინათვე ვისწრაფე აქეთკენ სადადიანო სვანეთის გზით; უნდა მოგახსენოთ რომ აქ რაღაც საშინელი გაუგებრობაა დაფარული... ეს ექსპედიცია, დავიჯერო, როგორც ჩვენ გავიგევით, ჩემის ძმის, კონსტანტინეს, წინააღმდეგ არის გაგზავნილი?

— დიახ, — უთხრა გაგარინმა, — რაზმი თქვენის ძმის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ ეს თქვენ არ შეგეხებათ, თქვენი საქმე სულ სხვაა. თქვენ, რომელიც რუსის ოფიცრის მუნდირს ატარებთ, რატომ და როგორ არ გამოცხადდით შვებულების გათავებისას თქვენს ლეგიონში და მერე საჭიროდ არა სცანით ჩემისა და ადგილობრივის უფროსთა გამოწყვევაზე გამოცხადებულიყავით?

— 1855 წელს, — მოახსენა დადეშქელიანმა, — მე მართლაც ავად გავხდი და ავადმყოფობის რაპორტი ლეგიონში გავგზავნე კაპიტან დემიანოვიჩის ხელით. როცა მოვიკითხე, სვანეთიდან მომავალი გზები თოვლით იყო დაფარული და მე ჩემდაუნებურად დავრჩი. ომს შემდეგ ლეგიონიდან არ მოვუთხოვნივართ, ესეც არ ყოფილიყო, ძმაც არ მიშვებდა, სხვადასხვა საქმისათვის ვჭიროდი, თქვენგან და ადგილობრივის მთავრობის მიერ გამოძახების ამბავი არც ჩემს ძმას მოსვლია და არც მე.

— ბოქაულმა, თავადმა მიქელაძემ, რომ გამოგიგზავნათ უწყებები?

— მიქელაძე ჩვენთან არც ომამდე ყოფილა და არც ომის შემდეგ; რომ სდომოდა კიდეც მოსვლა, არ შეეძლო მოსულიყო, რათგან უნდა გამოევლო თავისუფალ საზოგადოებებზე, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მის მოქმედებით. იქ არ გამოატარებდნენ. ხოლო თუ ვისმე გადასცა უწყებები ჩვენდა ჩასაბარებლად, ჩვენთვის არ ჩაუბარებიათ.

— ამას ყველაფერს გავიგებ, ახლა კი ინებეთ და წაბრძანდით კომენდანტთან, თქვენი ხმალი გადაეცით და მოახსენეთ, რომ დატუსაღებული ბრძანდებით. ხვალ კი ტფილისში გაემგზავრებით და იქ მეფისნაცვალი განიხილავს თქვენს საქციელს.

გაგარინი მიუბრუნდა თავის ადიუტანტს, ე. ფ. ეკელნს და დაავალა მას ამ ბრძანების შესრულებისათვის თვალყური ედევნებინა.

მაგრამ დადეშქელიანი წასვლას აყოვნებდა.

— სანამ გეახლებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ვკადნიერდები და გთხოვთ მომისმინოთ რამდენიმე სიტყვა ჩემის ძმის შესახებ.

— აბა ბრძანეთ.

— მე არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ, რა ჰბრალდება ჩემს ძმას. მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ რამ ცილი დასწამეს, სიმართლე გამოჩნდება. თვითონ წამოვიდა რაზმის უფროსის შესახვედრად და გაუგებრობის გამოსარკვევად. იმას აბრალებენ ჯამსუხის სიკვდილს, მაგრამ ეს ლიტონი ბრალდება გახლავსთ, ეს ცილი დასწამეს მტრებმა, და ამ მტრებს შორის პირველი დედოფალი — ეკატერინე გახლავსთ. ჩემი ძმა — ერთი უბრალო კაცია, დიდის ჭკუისა არ გახლავსთ, უსწავლელია, ერთგულია ხელმწიფისა და მის მთავრობისა და ამის საუკეთესო საბუთად ის გარემოება კმარა, რომ სწორედ იმის წინ, სანამ ომერფაშა სამეგრელოს დაიპყრობდა, თავისი შვილი ტფილისში ჩაიყვანა აღსაზრდელად და იქ დასტოვა თავის ერთგულობის საწინანდრად; მე კიდენ რჩევითა და რითაც კი შემეძლო, ვეხმარებოდი, და თუ ახლა ამ მისთვის მეტად გაჭირვებულ წამს გარემოება ერთმანეთს გვაშორებს, თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ მოაკლებთ თქვენს მფარველობას. იმას, როგორც ყველას ჩვენს მხარეში, სწამს თქვენის გულკეთილობისა და დიდსულობის ამბავი.

ეს ნალაპარაკევი, რა თქმა უნდა, ჩემ მიერ სტენოგრაფიულად არ არის გადმოცემული, არამედ ზოგადად, ვიცავ მხოლოდ მის შინაარსს.

სათქმელი რომ გაათავა, ალექსანდრემ თავი დაუკრა გაგარინს და ეკელნთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

მეორე დღეს ალექსანდრე დადეშქელიანი ტფილისში გაგზავნეს, იქ კი ბარიატინსკიმ ბრძანა აღმოსავლეთ ციმბირში წასულიყო გრაფ მურავიოვ-ციმბირსკის განკარგულებაში. შემდეგში მისი საქმე სულ კარგათ წავიდა. მურავიოვმა დაიახლოვა; კვლავ მოწყალედ დაუწყეს ყურება; როგორც მეტისმეტად ნიჭიერმა კაცმა, სამსახურში ადვილათ წაიწია წინ და ლეგიონის უფროსობა იშოვნა; მერე მურავიოვის ციმბირიდან გამოჰყვა, სამხრეთ რუსეთში მამული შეიძინა; იქ დასახლდა და, როგორც გავიგეთ, მდიდრადაც სცხოვრობდა.

ტფილისში ალექსანდრეს გამგზავრების შემდეგ სამმა დღემ გაიარა, ისე გაგარინთან თვით კონსტანტინეც მოვიდა. იმან გაგარინს შეატყობინა, რომ უსლარსა და მისს რაზმს სადადეშქელიანო სვანეთში უკანასკნელ გადასავალთან, სახელდობრ ხუდონში, შემოვხვდი, გამოველაპაარკე და დავარწმუნე, რომ მისი შემვლა ჩემს სამთავროში სამწუხარო გაუგებრობის ნაყოფია-მეთქი, ალბათ მტრებმა მომიგონეს ყველაფერი მეთქი და ვარწმუნებდი — იქით არ წასულიყო; მაგრამ იმან პატივი არა სცა ჩემს ნათქვამს და გამომიცხადა — პირდაპირ უნდა წავიდე სვანეთშიო, ამიტომ თვითონ თქვენთან წამოვედი, რომ როგორც სამართლიანმა ადამიანმა, დამიფაროთო.

გაგარინი კონსტანტინეს მისის ღირსების საფერ პატივისცემით დაუხვდა. დამშვიდებით, ზრდილობიანათ მოუსმინა და დასასრულს უთხრა — ვერაფერს პასუხს მოგცემ, სანამ თვით უსლარი არ შემომითვლის საქმის ვითარებასო, უსლარს-კი ახლავე გავუგზავნი საგანგებოდ კაცსაო. გაგარინმა კონსტანტინეს ქუთაისში დარჩენა და უსლარის ამბის მოსვლის დაცდა სთხოვა. იფრინდა მაშინათვე გაიჭრა.

მაგრამ უსლარისაგან სანამ მოხსენება მოვიდოდა, მთელმა კვირამ გაირა და ამ ლოდინში გაგარინი მეტად ჰღელავდა. იმას ძალიან აფიქრებდა ასე მოულოდნელი გასვლა ძმათა დადეშქელიანებისა სვანეთიდან; იქნებ მართლა ეს საქმე განგებაა ასე გაზვიადებული და თვით ექსპედიცია ვაითუ ბეღურებზე ნადირობას დაემსგავსოსო! ვინ იცის, რას იტყვის ბარიატინსკი? და საერთოდ მთელმა ამ საქმემ ვაი თუ ჩირქი რამ მოსცხოს ჩემს სამხედრო სახელსაო?! ამ ფიქრებმა ძალიან დაანაღვლიანეს და ააღელვეს გაგარინი. ასეთს შემთხვევაში იმან სეირნობა იცოდა ხოლმე ქვეითად დაიჭერდა ვისმე მასთან მყოფს. ათრევდა მანამდე, სანამ მუხლებში წყალს ჩაუყენებდა, ატარებდა ყოველგან, ხშირათ ქალაქ გარეთაც. ზოგჯერ კი თავს შერგავდა ფერმაში და მცენარეთა ყვავილთა შორის ჩაიფლებოდა.

ამასობაში იფრინდები ერთი-მეორეს მისდევდნენ უსლარისაკენ.

და აჰა, როგორც იქნა, მისგან სულ დიდი მოხსენება მოვიდა.

გაგარინმა რომ წაიკითხა, სახე გაურწყინდა. მოხსენება, რა თქმა უნდა, საუცხოვო სტილით იყო დაწერილი; უსლარის კალამს კრიტიკულ წამებში ფერი არ უკრთებოდა, კილო იმდენად დამშვიდებული იყო, რომ გაუქრა ყოველი ეჭვი იმისა, თითქო საქმე ცუდათ ყოფილიყოს დაწყებული.

მოხსენების დედააზრი საზოგადოთ ასეთი იყო, ძმათა დადეშქელიანების წამოსვლას სვანეთიდან უსლარი თვლიდა ამ თვალთმაქცობად, რომელსაც მელია განწირულების ჟამს მიმართავს ხოლმე: მელია ძაღლებს ატყუებს ან თავის კუდის ქნევით და ძაღლებს იქით-აქეთ აწყვეტებს, ან და ერთბაშად გაჭენებული მიწაზე გაერთხმის, სულგანაბული, თითქო მოჰკვდაო; ძაღლები თავზე გადაახტებიან და ის კი ამ დროს მოასწრებს და სულ შორს ჩამორჩება სადმე. დადეშქელიანების სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ასეთი ხერხი მათთვის ერთად-ერთი საშუალება იყო იმისთვის, თუნდაც ერთის წუთითაც ეცადათ სხვათათვის თვალები აეხვიათ. რა თქმა უნდა, სამხედრო ექსპედიციის წინააღმდეგ გაძალიანების შესახებ ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ეს მათაც მშვენივრად ესმოდათ, და, მადლობა ღმერთს, რომ წავიდნენ და ამგვარად თავიდან აგვაცილეს ყოველივე საბაბი თუნდ ერთი წვეთი სისხლის დაღვრისაო. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ექსპედიციას ნიშანში მარტო დადეშქელიანები არა ჰყავდა ამოღებული, არა, ამ ექსპედიციას ერთხელ და სამუდმოდ უნდა მოესპო ადგილობრივი შინაური პირობები სადადეშქელიანო სვანეთისა, რომელიც სიტყვით ვითომ მშვიდობიანი მხარე იყო, ნამდვილად კი ეს იყო ბუდე ყაჩაღობისა და ყოველგვარის შფოთისა.

ბიბლიოთეკა

# კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება



*(ვაგრძელებთ პროფესორ კლიმენტი შელიას სტატიის ბეჭდვას, რომელიც დაწერილია მისი ახლახან გამოსული წიგნის „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ და მისივე, უკვე კომპიუტერზე აწყობილი მომავალი წიგნის „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“-ს მიხედვით).*

**იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.**

**პროფესორი ლევან სანიკიძე.**

ჰეიერდალმა მსოფლიოში ყველაზე უკეთესად იცის, რომ აღდგომის კუნძულზე **„უმაღლეს წერტილს მიღწეული კულტურა“** შეიტანა ხოტუ მატუამ და მისმა თანამებრძოლებმა, რომ ის იყო კუნძულს პირველი თეთრკანიანი მეფე, რომელსაც კუნძულზე უდიდეს პატივს ცემდნენ და სცემენ. კუნძულის მცხოვრებლები გამოქვაბულებში ინახავდნენ ძვირფას ნივთებს, პატარა წარწერიან დაფებს. ულამაზეს პატარა ქანდაკებებს, ქვის ჯამებს. კუნძულზე აღმოჩნდა ფართო ქვაფენილიანი, მოკირწყლული გზები, რომლებიც პირდაპირ ზღვაზე ჩადიოდნენ. ქვის გოლიათები, და ქანდაკებები **„უწმინდური სულებისგან“** გვიცავენ, ამბობენ მცხოვრებლები, მაგრამ ჩანს, მათ აკეთებდნენ ღმერთების სასატივცემლოდ. ტ. ჰეიერდალი სხვადასხვა ანალიზის საფუძველზე ასკვნის: **„ადრინდელი ქანდაკებები აღმართული იყო დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვის 1300 წელს, ანუ დაახლოებით ცხრაასი წლის შემდეგ იმ დღიდან რაც აღდგომის კუნძულზე პირველი ადამიანი დასახლდა (ე.ი. მეოთხე საუკუნეში)“.** (ტურ ჰეიერდალი, **“აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“**. თბ., 1965, გვ. 56-77)

ტურ ჰეიერდალი აღნიშნავს: **„პერუში როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ ანდების შავგრემან და ტანმორჩილ ინდოელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვითონ ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი... ესენი იყვნენ უკანასკნელი შთამომავალნი თეთრკანიანი, წვერიანი (ინდიელებს წვერი არა აქვთ) ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავალნი, ირკვევა რომ ინკების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე ეს შენობები აუგიათ წვეროსან და თეთრკანიან ადამიანებს. მაგრამ ერთხელ ამ ადამიანებმა მიატოვეს ეს ქანდაკებები და კედლები და თავიანთი ბელადის წინამღძოლობით გაემართნენ კურაკოში, შემდეგ კი წყნარ ოკეანეში და მათმა ბელადმა, რომელიც სამოცი დღე მიცურავდა აღმოსავლეთიდან მზის დასავლეთით მიმართულებით, თან ჩამოიყვანა პირველი გრძელყურებიანები.“** (ტურ ჰეიერდალი, **“აღდგომის კუნძულის საიდუმლოებანი“**, გვ. 423).

იბადება ასეთი კითხვა: **„... წვერითა და ინკური ცხვირით საიდან მოვიდნენ?“** - კითხულობს ტ. ჰეიერდალი, მაგრამ ვერ პასუხობს. ეს არის არა **„ინკური ცხვირი“**, არამედ ულამაზესი ქართული არწივისებური ცხვირი. დროთა განმავლობაში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები; იბერთა პროექტებით იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები, ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. ინდიელმა აბორიგენებმა ისწავლეს მიწათმოქმედების წესები, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლაპატრონობა (ჩრდილოეთ ამერიკაზე ლაპარაკი ცალკე საკითხია).

მკვლევარი რევაზ ერისთავი წიგნში **„მზის შვილები“** იხილავს დედამიწაზე ბიბლიური წარღვნის შემდეგ მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის – იბერების, მათი აზროვნებისა და კულტურის მთელს ჩვენს პლანეტაზე განთესვის საკითხებს, აგრეთვე ფართოდა აქვს განხილული მეგრულ-ლაზური ტომების ერთი ნაწილის მიგრაცია თითქმის მთელ დედამიწაზე, მათი ენის აშკარა გავლენა მსოფლიოს ხალხთა ენებზე, რელიგიური ტერმინებისა და ტოპონიმების ჩამოყალიბებაზე; წიგნში გაანალიზებულია საოცრებით აღსავსე აღდგომის კუნძულზე იბერთა ტომის ბელადის ხოტე მატუას მოსვლა თავისი გვარტომებით და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ტურ ჰეიერდალს და რევაზ ერისთავის აღნიშნულ წიგნებში მოთავსებულია ქვის ქანდაკებების დოკუმენტალური და ხოტუ მატუას ფოტოსურათები.

* * *

უკანასკნელ პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, რომ **„ამჟამადაც“ „ქართ“**-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას (ნაპოლეონს კი ქართველს) კორსიკელები.

კუნძულზე მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ადათ-წესები ზნეჩვეულებები, კეთილშობილური ქცევა, სილამაზე, მრავალხმიანი მუსიკა, მეგრული ცეკვები, მეგრული კულინარია – მეგრული სამზარეულო.

ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა, თორემ თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ქართველ ოფიცერს, ყოფილი მამლუქ როსტომ რაზმაძეს. ანდრე კარბელაშვილს მოხმობილი აქვს დოკუმენტალური მასალები თუ როგორ ურთიერთობაში იყო ნაპოლეონი ქართველებთან: ნაპოლეონის ჯარის უფროსი კოსტანი იხსენებს: **„იმპერატორის მამლუქის სახელით ცნობილი რუსტანი კარგი ოჯახის შვილი იყო, ბავშვობისას საქართველოდან მოუტაცნიათ...“** ნაპოლეონმა რუსტანი თავის ამალაში დაიტოვა, ხოლო მეორე იბრაჰიმი, შემდგომში ალის სახელით ცნობილი, ჟოზეფინას მხლებელად გაამწესა. იმპერატორმა ისე დაიახლოვა რუსტანი, რომ იგი ყველგან ახლდა. რუსტანი მონაწილეობდა ნაპოლეონის ყველა ომში. ნაპოლეონის შტაბის წევრებზე თავისი იერით და აღმოსავლური ჩაცმულობით ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა. ხელმწიფე უსაზღვროდ ენდობოდა მას. ერთხელ რუსტანმა მტრის მოქნეული ხმალი ააცალა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ფუშეს ცხოვრების მკვლევარის ლუი მადლენის მოწმობით, ნაპოლეონს ფუშეს ადგილას რუსტანის დანიშვნა უნდოდა. საფრანგეთის ხელისუფლებას არ სურს გაიხსენოს, რომ დიდი იმპერატორი ნაპოლეონი. კორსიკელი ბასკი იყო. ნაპოლეონს ორბისებური თვალები და არწივისებური ცხვირი ჰქონდა, საოცრად ემოციური და ფიცხი იყო. ნაპოლეონი საუბრის დროს ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვში კავკასიური სისხლი ჩქეფდა. მან კარგად იცოდა, რომ წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო.

შემთხვევით არ იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან, დადიანების ყოფილ საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. როცა ის წმინდა ელენეს კუნძულზე მოწამლეს და მოკლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი პარიზში ინახება, მეორე კი ზუგდიდში, დადიანების საგვარეულო მუზეუმში. ისიც ცნობილია, რომ აშილ მიურატი დადიანების სიძე იყო, სალომე დადიანის მეუღლე.

ნაპოლეონი დიდ პატივს ცემდა პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის ჯარის უნიჭიერს ქართველ გენერალს. როდესაც ნაპოლეონს ბაგრატიონის გარდაცვალების ამბავი უთხრეს, მან გლოვის დუმილის წუთი გამოაცხადა და მუხლმოდრეკილმა პატივი სცა მის ხსოვნას.

1840 წლის 15 დეკემბერს, წმ. ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის ცხედრის გადმოსვენებაზე დამსწრე საზოგადოების აშკარა ყურადღებას იქცევდა ახოვანი, წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი. განსხვავებული აღმოსავლურ ტანისამოსში გამოწყობილი – ეს იყო უსაზღვროდ დანაღვლიანებული როსტომო-რუსტანი რაზმაძე, რომელმაც ნაპოლეონის ნეშთს უკანასკნელი პატივი მიაგო, ხუთი წლის შემდეგ თვითონაც აღესრულა და დასაფლავებულია პარიზში. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონი წარმომავლობით ბასკი-იბერიელი იყო. ალბათ ამიტომ ნაპოლეონისა და რუსტანის ურთიერთობა იმპერატორისა და იმპერატორის დაცვის უფროსის ურთიერთობას კი არ გავდა, არამედ ეს იყო ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა. რუსტამმა (როსტომმა) კარგად იცოდა, რომ რომანი **„კლისონი და ეჟენი“** ნაპოლეონ ბონაპარტეს დაწერილი იყო.

ასეთია მოკლედ, ძალიან მოკლედ ძველი კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი. კოლხეთის ისტორიის სრულყოფილ გადმოცემას მრავალი ტომი და მეცნიერთა დიდი ჯგუფის მრავალწლიანი მუშაობა ჭირდება, ერთი ადამიანი, ვინც გინდა იყოს ის, ამის გაკეთებას ვერ შეძლებს. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ერთ სტატიაში გადმოცემა, ვხედავ, ვერ მოვახერხე, ვერც ის შევძელი, რომ სათქმელი მოკლედ მეთქვა – ჩანს ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

**კლიმენტი შელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

# ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ისტორიული გზები საქართველოში

ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მოვლენას ქრისტიანობა წარმოადგენდა. ქრისტეს ქადაგებითა და მისი მოძღვრების გავრცელებით, კიდევ უფრო ამაღლდა ამა თუ იმ ხალხთა სულიერი დონე, რომლებმაც ღრმად გაითვითცნობიერეს ქრისტიანული დოგმების არსი და მნიშვნელობა. ღმერთის სასოება და სწავლება საყოველთაო მოძრაობად იქცა.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება პირველი განმანათლებლის – ანდრია პირველწოდებულის სახელთან არის დაკავშირებული.

**„ქართლის ცხოვრება“** ანდრია პირველწოდებულის შესახებ გადმოგვცემს: ამაღლების შემდგომ მოციქულებმა წილი იგდეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგნა. ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს ჰყავდა მრავალი მოწაფე და მოციქული. უახლოესი თორმეტი მოწაფიდან ერთ-ერთი ანდრია იყო, რომლის ზედწოდება (პირველწოდებული) მიგვითითებს, რომ იგი სხვებზე უფრო ადრე დაეწაფა უფალს (იოანე 1,40).

როგორც ისტორიული მასალებიდან სჩანს, ძველ საქართველოში წმინდა ანდრია და სხვა მოციქულების ჩვენში მოღვაწეობა და ქადაგება, უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული.

როგორც ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე აღნიშნავს – **„ახალ დროში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში, წმინდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარმყოფელებს ერთ თავის არგუმენტად ისიც მიაჩნიათ, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც არ შეეძლო მოციქულთა ყურადღების მიპყრობაო“.** (იხ. ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სტატია **„ანდრია პირველწოდებული“**. გაზ. **„თავისუფალი საქართველო“**, 1991 წ. 13 დეკემბერი, №47).

საყოველთაოდ ფიგურირებს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში, მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში, პირველი საუკუნის 30-იანი წლებიდან მე-2 საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად მოიცავდა ამიერკავკასიას.

I და II საუკუნეების საქართველოს სიდიადით და სიძლიერით, მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის გაერთიანებული საქართველო თუ შეედრება. (ანანია ჯაფარიძე, იქვე.).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველოს მოქცევა, მაგრამ მას ეჩვენა ძე მისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე და უთხრა: **„ჰოი, დედაო ჩემო, მე არ უგულვებელვყოფ ყველა ხალხზე უფრო საზეპურო ქართველ ერს, მაგრამ შენს ხვედრებულ საქართველოში უნდა წარავლინო ანდრია პირველწოდებული. მას თან გაატანე შენი ხატი, რომელიც შენს პირზე დადებით გამოისახება. შენს წილ ის ხატი მკვიდრობდეს იქ, მათ მცველად უკუნისამდე“.**

მაშინ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელმა უთხრა ანდრია მოციქულს: **„შვილო ანდრია, დიდად უჩანს ჩემს სულს, რომ ჩემს წილ ქვეყანაში საქართველოში – არავის უქადაგნია ჩემი ძის სახელი, როცა მე ჩემს წილხვედრ ქვეყანაში საქადაგებლად წასვლა განვიზრახე, გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი და მიბრძანა, რომ შენ წახვიდე და თან წარიტანო სახე ჩემი, რათა მე ვიყო ქართველთა ცხოვრების განმგებელი, ხელი აღვუპყრა და შევეწიო მათ და არავინ მტერთაგან მძლეექმნას მათ“.**

ყოვლადწმინდამ მოითხოვა ფიცარი, დაიდო სახეზე და სასწაულებრივად აღიბეჭდა ფიცარზე ხატი ღმრთისმშობლისა. მისცა ეს ხატი ანდრია მოციქულს და უთხრა: **„მადლი და შეწევნა ჩემგან შობილსა უფლისა თანაშემწე გყვან შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას და დიდად შევეწევი ჩემდა ხვედრებულსა“.**

ანდრია მოციქული პირველად ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში მივიდა, აქ მცირე ჟამი დაჰყო და აქედან იგი შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდ-აჭარა ეწოდებოდა. (ა. ჯაფარიძე, იქვე.).

თუკი მთავარ ისტორიულ წყაროს **„ქართლის ცხოვრებას“** დავეყრდნობით, I საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა, რომელთაც თან ახლდათ მოციქული მატათა. სვიმონ კანანელი და მატათა გზაში ჩამოსცილდნენ ანდრია პირველწოდებულს. მას შემდეგ, რაც სვიმონ კანანელი გზაში ჩამოსცილდა ანდრიას, ანდრიამ გზა განაგრძო სამეგრელოსკენ, სადაც მის მიერ გავლილ სოფლებში იქადაგა ახალი რელიგია, რომელიც თავისი არსით ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგია იყო.

ანდრია პირველწოდებულის დამსახურება არის ის, რომ მან თავისი ქადაგებითა და ქრისტიანული მოძღვრებით, ხალხი განანათლა რელიგიურ-ქრისტიანული დოგმებით. ეს იყო ახალი რელიგია დამკვიდრებული კოლხეთის ძირძველ და ამავე დროს, მადლიან მიწაზე. იგი უკომპრომისოდ ებრძოდა წარმართობას, კერპთაყვანისმცემლობას და ამ გზით მიაღწია ჭყონდიდის დიდი კერპის, დიდი მუხის მოჭრასა და ქრისტიანული სამლოცველოს დაარსებას.

**„ქართლის ცხოვრების“** თანახმად ადერკი მეფემ შეიტყო რა მესხებისა და მეგრელების მიერ ძველი რჯულის დატოვება, გაუწყრა მათ, გაგზავნა იქ თავისი ერისთავები და იძულებით კვლავ წარმართობას დაუბრუნა, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა. ხალხმა ქრისტიანობა შეინარჩუნა.

ანდრია მოციქულმა იქადაგა ნახარებაოში. სამრეკლოსთან დააარსა ქრისტეს ეკლესია. ეს იყო პირველი მისია, რომელმაც შავი ზღვისპირეთში ქრისტიანობის პირველი ლამპარი დაანთო და აქედან გაემგზავრა უკან. დროთა განმავლობაში ხალხმა იწამა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგია, მისი მოძღვრება, ქრისტეს ძალა და მადლი, უფლის რწმენა და სწავლება.

პირველ საუკუნეში, კოლხეთში დამკვიდრებულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მოძღვრება მე-4 საუკუნეში (337 წ.), კიდევ უფრო გააცისკროვნა კაბადოკიელი ქალის – წმინდა ნინოს შემობრძანებამ ვაზის ჯვრით და სრულიად საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია.

ამრიგად, ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში – საქართველოში, ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში, უდიდესი დამსახურება მიუძღვით დიდ განმანათლებლებს – ანდრია პირველწოდებულსა და კაბადოკიელ ნინოს. ქრისტიანობის დამკვიდრებით, ქვეყანა კულტურულად დაწინაურდა. ეს იყო უდიდესი აღმძრავი მადლი ქვეყნის ცხოვრებაში.

**ამბროს ფაილოძე**
**აკადემიკოსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაჰმაშირასი – ღმერთების იარაღი თუ ბირთვული რაკეტა?

„ბოროტი რავანას დამარცხება შეიძლება მხოლოდ ბრაჰმას მიერ შექმნილი ისრით, რომლის მსგავსსაც სამ სამყაროში ვერ იპოვი! – უთხრა ინდრას მეეტლემ რამას და კაპარჭიდან ბრწყინვალე ისარი ამოიღო. ეს ისარი ბრაჰმამ შექმნა, რათა ინდრა სამ სამყაროს დაჰპატრონებოდა, მან კი რამას გადაულოცა. მის (ისრის) წვეროში იყო ალი და მზის მხურვალება, ხოლო მისი დაბოლოება მისმა შემქმნელმა ქარით გაავსო, ხოლო ისრის სხეული შექმნა სივრცისგან, ზომით კი არც მერას და არც მანდარას ჩამოუვარდებოდა. ისარი ყველა საწყისს და ნივთიერებას შეიცავდა და ენით აუწერელ ბრწყინვალებას ასხივებდა. კვამლით გარშემორტყმული შიშს სთესდა ყველა მეომარში...

**... და მაშინ სტყორცნა რამამ ისარი საშინელი, ყოვლისმმუსვრელი, სიკვდილის მომტანი... შორ მანძილზე მფრენმა ისარმა, რამას მიერ ნასროლმა... დაწვა დიადი ცეცხლით მძლეთამძლე რაკშასი, რომელიც ეტლიანად, მასში შებმული ცხენებიანად ცეცხლში გაეხვია... და დაიშალა ის ხუთ ძირითად საწყისად... მისი ძვალი, ხორცი და სისხლი აღარსად იყო, ისინი ცეცხლმა შთანთქა... ისე, რომ ფერფლიც აღარსად იყო...“**

ეს არ გახლავთ ამონარიდი რომელიმე ფანტასტი მწერლის მოთხრობიდან და არც ბირთვული უსაფრთხოების სახელმძღვანელოდან.

ესაა ციტატა უძველესი ინდური ეპიკური პოემებიდან **„მაჰაბჰარატა“** და **„რამაიანა“**, რომელთა პერსონაჟებიც ერთმანეთს **„ღმერთის მიერ ბოძებული“** იარაღით უპირისპირდებიან.

როგორც ხედავთ, მინიშნების გარეშეც იოლი მისახვედრია, რომ აქ ბირთვულის მსგავს იარაღთან გვაქვს საქმე. ამ იარაღის სახელწოდება ორივე პოემაში გვხვდება და მას **„ბრაჰმაშირასი“**, ანუ **„ბრაჰმას თავი“** (სხვაგვარად – **„ბრაჰმას კვერთხი“**) ეწოდება.

**„რამაიანაში“** ვხვდებით ტექსტს, რომელიც ზუსტად აღწერს ამ იარაღის მოქმედების განსაკუთრებულობასა და სხვა იარაღისგან განსხვავებას:

როდესაც აშვათხამანი ბრაჰმაშირასს გამოიყენებს არჯუნას წინააღმდეგ, არჯუნაც იარაღით უპასუხებს, ოღონდ კი არ ანადგურებს აშვათხამანის მიერ ნასროლ იარაღს, მხოლოდ **„შეაჩერებს“** მას, რადგან ღმერთი ინდრა ეუბნება, რომ **„იქ, სადაც ვინმე ბრაჰმაშირასს სხვა იარაღით ჩამოაგდებს (ზუსტად ასე წერია პოემაში), 12 წლის მანძილზე წვიმის ცვარი აღარ ჩამოვარდება!..“** ცნობისთვის: ბირთვული იარაღის გამოყენების ადგილას რადიაციული ფონის შესუსტებას დაახლოებით ამდენი დრო სჭირდება. ხოლო წვიმის არარსებობა შეიძლება ნიშნავდეს რადიაციის შედეგად ტერიტორიის უდაბნოდ ქცევას.

ყურადღებას იმსახურებს არჯუნას იარაღიც, რომელსაც ბრაჰმაშირასის შეჩერება და გაუვნებელყოფა შეუძლია. იგი ძალიან წააგავს თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს, მაგალითად, რუსულ **„ს-300“** ან ამერიკულ **„პეტრიოტს“**, რომელთაც ფრენის ტრაექტორიაზე შეუძლია ბირთვული რაკეტის განადგურება. ასევე, საინტერესოა სცენა, როცა აშვათხამანი თავს იმართლებს ინდრას წინაშე ბრაჰმაშირასის გამოყენების გამო:

**„უკიდურესი საფრთხის ჟამს, სიცოცხლის გადასარჩენად,**

**მე ავამოქმედე (!) ეს იარაღი,**

**მაგრამ მისი უკან დაბრუნება აღარ ძალმიძს.**

**მაგრამ შენს სიტყვას შევასრულებ, უკან არ დავიხევ.**

**ჩანასახს... ქალში მოჰკლავს ის,**

**დიადი იარაღი ზუსტი ხომ ვერ იქნება,**

**ჩემს გაშვებულს (იარაღს) უკან ვერ დავაბრუნებ,**

**ახლა ამ იარაღს ჩანასახში ჩავცემ, ო, მბრძანებელო,**

**მაგრამ შენს სიტყვას შევასრულებ...“**

ინდრას სიტყვა კი იყო, რომ ორივე მხარეს შეეწყვიტა ბრაჰმაშირასის გამოყენება (ანუ მესამე მხარის მიერ წამოყენებული ბირთვული ცეცხლის შეწყვეტის ულტიმატუმი).

აქ აშკარაა, რომ საუბარია რადიოაქტიურ იარაღზე, რომელსაც ქალის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახზე ზემოქმედება, გენეტიკური მუტაციის მეშვეობით მისი დნმ-ს კოდის შეცვლაც კი შეუძლია. ასეთი იარაღი კი, დამეთანხმებით, არცთუ ისე ბევრია...

საგულისხმოა ასევე ფაქტი, რომ როცა ინდრას მეეტლე აძლევს არჯუნას ამ იარაღს, უმკაცრესად აფრთხილებს: **„ეს არაჩვეულებრივი და სრულიად უძლეველი იარაღი არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული ხალხის წინააღმდეგ, რამეთუ ნაკლებძლიერზე (ხალხზე) გამოყენების შემთხვევაში, მას მთელი მსოფლიოს დაწვა შეუძლია. თუ ოდესმე მტერი დაგესხმება თავს, მაშინ, ო, გმირო, შეგიძლია მის დასამარცხებლად ეს იარაღი გამოიყენო!“**

**შედარებისთვის: აშშ-ის ავიაციამ იაპონიის ჯარის წინააღმდეგ გამოიყენა ბრაჰმაშ... უკაცრავად, ბირთვული ბომბი, მაგრამ უმთავრესად მშვიდობიანი მოსახლეობა ამოწყვიტა.**

აშშ-ის მიერ იაპონიაში გამოყენებული იარაღის ეფექტი ჰგავს რამას მიერ რაკშასისთვის ნასროლი „ისრის“ ეფექტს: **...და მაშინ სტყორცნა რამამ ისარი საშინელი, ყოვლისმმუსვრელი, სიკვდილის მომტანი... შორ მანძილზე მფრენმა ისარმა, რამას მიერ ნასროლმა... დაწვა დიადი ცეცხლით მძლეთამძლე რაკშასი, რომელიც ეტლიანად, მასში შებმული ცხენებიანად ცეცხლში გაეხვია... და დაიშალა ის ხუთ ძირითად საწყისად... მისი ძვალი, ხორცი და სისხლი აღარსად იყო, ისინი ცეცხლმა შთანთქა... ისე, რომ ფერფლიც აღარსად იყო...“.**

საინტერესოა, რომელ არაადამიანურ მტერს გულისხმობდა ინდრას მეეტლე? ამაზე პასუხი ისევ ძველ ტექსტებში იმალება, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. დავუბრუნდეთ ბრაჰმაშირასს.

**„მაჰაბჰარატაში“** ვხვდებით ბრაჰმას იარაღის ბევრ სხვა აღწერასაც, რომლებშიც მას ატომურ ბომბს მიამსგავსებთ: **„მბრწყინავი ჭურვი(!), უკვამლო ალის ნათებით მოსილი, გასროლილ იქნა. უცაბედად მთელი ჯარი სქელმა ნისლმა დაფარა, ჰორიზონტის ყველა მხარე წყვდიადში ჩაიძირა, აღიმართნენ ავისმომასწავებელი გრიგალები, ღრუბლები ღმუილით აიჭრნენ ზეცის სიმაღლეზე... მზე თითქოს დაიგრაგნა. სამყარო, ამ იარაღის მხურვალებით გავარვარებული, ციებ-ცხელებიანივით ცახცახებდა. ამ იარაღის ალით დამწვარი სპილოები ელდანაცემნი გარბოდნენ. ათასობით საბრძოლო ეტლი, მეომრები და სპილოები ადგილზე დაფერფლა ამ საშინელმა აფეთქებამ. არავის უნახავს და სმენია რამე, ასეთი იარაღის მსგავსი.“**

ნათელია, რომ ჩვეულებრივ იარაღთან არ გვაქვს საქმე, მით უმეტეს, რომ იგი გარეგნულად **„წააგავდა უზარმაზარ რკინის ისარს, რომელიც სიკვდილის მოციქულივით გამოიყურებოდა.“**

**„მის (ისრის) წვეროში იყო ალი და მზის მხურვალება,**

**ხოლო მისი დაბოლოება მისმა შემქმნელმა ქარით გაავსო,**

**ხოლო ისრის სხეული შექმნა სივრცისგან, ზომით კი**

**არც მერას და არც მანდარას ჩამოუვარდებოდა.**

**ისარი ყველა საწყისს და ნივთიერებას შეიცავდა**

**და ენით აუწერელ ბრწყინვალებას ასხივებდა.**

**უკვამლო ცეცხლით გარშემორტყმული შიშს სთესდა ყველა მეომარში...“**

აქ უკვე მინიშნებაც აღარაა საჭირო, ასოციაცია ჩნდება თანამედროვე ბირთვულ რაკეტასთან: რაკეტა ჰგავს **„რკინის ისარს“**, რომლის ბოლოში არის **„ქარი“**, ანუ, რეაქტიული საქშენი აპარატი, ხოლო წვერში – პლუტონიუმის ბირთვული ქობინი, ანუ ჯაჭვური რეაქციის შედეგად მისგან გამოყოფილი **„მზის მხურვალება“**. **„უკვამლო ცეცხლის“** შედარება კი გვაფიქრებინებს, რომ საუბარია რადიაციულ დასხივებაზე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ წვავს.

ერთ-ერთი **„ისრის“** გასანეიტრალებლად გმირმა მეომრებს მისი ფხვიერ ქვიშაში დამარხვა უბრძანა! ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რადიაციული ნარჩენები დამარხა. მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი ხალხის დასაცავად, რადგან **„რაკეტის“** ნატეხები ზღვაში ჩაცვივდა.

ძნელი ასახსნელია ბრაჰმაშირასის გამოყენების შემდეგ გადარჩენილ მეომართა საქციელი – ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა დამთავრებული არაა, აფეთქების შემდეგ სასწრაფოდ გარბიან მდინარისკენ და იწმენდენ სხეულს, აბჯარს, იარაღს...

ასეა თუ ისე, ბრაჰმაშირასი, თავისი ყველა მონაცემით, ძალიან ჰგავს ბირთვულ რაკეტას.

მაგრამ ჩნდება კითხვა – თუ ბრაჰმაშირასი მართლაც რაკეტაა, რა საშუალებით ისროდა და ამოქმედებდა მას არჯუნა ან რომელიმე სხვა გმირი? მშვილდით ბირთვული იარაღის სროლა ხომ წარმოუდგენელია! თანაც, გასროლის დროს მსროლელი იარაღის ზემოქმედების არეალში არ უნდა ყოფილიყო, თორემ თვითონაც დაზარალდებოდა!

**ამისთვის საჭირო იყო ტრანსპორტი, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ბირთვული რაკეტებით!**

**მართლაც, „მაჰაბჰარატაში“ და „რამაიანაში“ საუბარია „მფრინავ საბრძოლო ეტლზე“, რომელიც იგივე ინდრამ და შივამ გადასცეს რამას და არჯუნას, იმაზე ადრე, ვიდრე ბრაჰმაშირასს გადასცემდნენ.**

**ლექსო ლეკიაშვილი**

# პატომის კრატერის საიდუმლოება

მეცნიერებმა საბოლოოდ თქვეს უარი ურანის საბადოებში თვითწარმოქმნილი ჯაჭვური რეაქციის შედეგად მომხდარი აფეთქების თეორიაზე.

– სერიოზულად მხოლოდ ორი – მეტეორიტული და ვულკანური ვერსიის განხილვა შეიძლება, – განაცხადა პროფესორმა ანტიპინმა, – მაგრამ კრატერზე ვერავითარი მეტეორიტული ნივთიერება ვერ აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება ვულკანებს, დაახლოებით ათასი კილომეტრის რადიუსში ჩამქრალი ვულკანიც კი არ გვხვდება. კრატერი კი აშკარად ახალია – ქვის ზედა ფენებმა გამოშრობა და დახავსება ვერ მოასწრო. მისი ასაკი დაახლოებით 100-500 წელია.

სერიოზულ მეცნიერებს ტუნგუსკის მეტეორიტზე საუბარი არ უყვართ – ამ მოვლენაზე ბევრი ლეგენდა არსებობს.

მაგრამ აქ ყველაფერი ლოგიკურად ემთხვევა. დავუშვათ, ტუნგუსკის მეტეორიტი ირკუტსკში კი არა, კრასნოიარსკის მხარეში ჩამოვარდა. მაგრამ იგი იქ ხომ ვერ იპოვეს! დაცემის სავარაუდო ადგილიდან პატომის კრატერამდე 700 კმ-ია. 70 კმ/წმ სიჩქარით მფრინავი ბოლიდისთვის ეს დაახლოებით 10-15 წამის საფრენი მანძილია. იქნებ პატომის კრატერი სწორედ ტუნგუსკის მეტეორიტის მიერ დატოვებული ღრმულია? ასაკიც ზუსტად ემთხვევა. შემთხვევა ტუნგუსკაზე 1908 წელს მოხდა. ჩვენი გეოლოგებიც ასე აფასებენ კრატერის ასაკს. ნუთუ ჩვენ ის ვიპოვეთ?

სამწუხაროდ, ტუნგუსკის მეტეორიტის ვერსიამ ჩაისვარა. როცა დენდროლოგებმა კრატერის მწვერვალზე ბოლო ფიჭვიც რომ მოხერხეს, მათმა ასაკმა 250 წელი შეადგინა.

თუ კრატერი მართლაც მეტეორიტმა წარმოქმნა, ეს სხვა მეტეორიტი ყოფილა.

## რა დევს კრატერქვეშ?

**„ცეცხლოვანი არწივის ბუდის“** ზუსტი ასაკი მოგვიანებით ირკუტსკში გავიგეთ. ახლა კი მეცნიერებს უნდა გამოეკვლიათ, რა დევს კრატერის ქვეშ, სიღრმეში.

**პროფესორი ალექსანდრე დმიტრიევი:** – პროტონული მაგნიტომეტრით გაზომვა ყველაზე პრიმიტიული საშუალებაა რკინის მადნის აღმოსაჩენად. თუ ნიადაგში რკინის შემცველი ქანები მოიპოვება, იმ ადგილას მაგნიტური ველის დაძაბულობა მატულობს. გაგვიმართლა, რომ კრატერი რკინის მადნისგან თავისუფალ ნიადაგზე დგას. და თუ კრატერზე მაგნიტური ველი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მის შემოგარენში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის ქვეშ მართლაც დევს რაღაც, რომელიც რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს, მაგალითად, ურანს შეიცავს.

მაგნიტურ გაზომვას მთელი დღე მოვუნდით. ყოველ 10 მეტრში ვზომავდით. საღამოს პროფესორმა დმიტრიევმა ვახშამზე უარის თქმის შემდეგ თავის ნოუთ-ბუქზე ცოტა წაიჯადოქრა და შემდეგ განაცხადა:

– არ ვიცი, მეტეორიტია, თუ კოსმოსური ხომალდი, მაგრამ აშკარაა, რომ კრატერის ქვეშ რაღაც არის და ეს რაღაც ამ ადგილებისთვის ანომალიურად მაღალი რაოდენობით რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს შეიცავს.

მაგნიტომეტრის მონაცემებმა აჩვენა, რომ ეს **„რაღაც“** 100-150 მეტრის სიღრმეზე დევს და მაგნიტურ ველს იმდენად ცვლის, რომ ხელსაწყოები ცვლილებებს ორჯერ უფრო დიდ ფართობზე აფიქსირებენ, ვიდრე კრატერის ფართობია. ერთ-ერთი ვერსიით ამ რკინის შემცველი **„რაღაცის“** დიამეტრი 35-40 მეტრია. იმაზე, თუ საიდან გაჩნდა იგი იქ, მეცნიერებს ორი ვერსია აქვთ – ან კოსმოსიდან ჩამოვარდა, ან მიწიდან ამოვიდა.

მეორე ვერსია მხოლოდ ერთი შეხედვითაა ფანტასტიკური. ასტროფიზიკაში ცნობილია, რომ კოსმოსში არსებობენ ზემკვრივი მეტეორიტები, რამდენიმე მილიარდი კილოგრამი კუბურ სანტიმეტრზე სიმკვრივით. არსებობს ჰიპოთეზა, რომ, თუ ერთ-ერთი ასეთი მეტეორიტი წყნარ ოკეანეში ჩავარდებოდა, მას შეეძლო დედამიწა **„გაერღვია“** და ციმბირში, ბოდაიბოს რაიონში ამოსულიყო. მისი სიმკვრივე დედამიწის ბირთვის ტემპერატურასაც გაუძლებდა, – ასე თვლიან გეოლოგები. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა: ორმა **„მსგავსმა“**, ოღონდ ზომებში გაცილებით მცირე, მეტეორიტმა 1993 წელს დედამიწის შიგნით გაიარა.

## კრატერში დიდი კვერცხი დევს?

წინა ორ ექსპედიციაში დენდროლოგები არ იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ, რასაკვირველია, ვხერხავდით ხეებს და დასამუშავებლად სპეციალისტებს ვაძლევდით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იმ ხეებს არ ვჭრიდით, რომელიც საჭირო იყო. ეს ჩვენთან ერთად მყოფმა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვიქტორ ვორონინმა განგვიმარტა. მისი სიტყვებით, კრატერის ასაკი ორჯერ მეტია, იმიტომ, რომ მის მიერ კრატერის ძირში მოჭრილი ყველაზე ძველი ხის წლიურმა რგოლებმა 480 წელი აჩვენა. საოცარი ეს კიდევ არ იყო.

მეცნიერის განმარტებით, ხის წლიური რგოლები კრატერის წარმოქმნის შემდეგ ერთჯერ გაიზარდა. მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი ჩერნობილში, სადაც რადიაციის შედეგად ხეებმა 2-ჯერ სწრაფად დაიწყეს ზრდა. ნუთუ აქაც იგივე მოხდა? რამ გამოიწვია ბირთვული რეაქცია? მეტეორიტმა თუ ბირთვულსაწვავიანმა უცხოპლანეტელთა ხომალდმა? ეს არავინ იცის.

მესამე ექსპედიციაზე გამოგვყვა **„ირკუტსკის ელექტროსადაზვერვო საწარმო“**-ს პრეზიდენტი, პროფესორი ალექსანდრე პოსპეევი, რომელმაც დაასკვნა:

– დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ კრატერის ქვეშ დიდი სამგანზომილებიანი ობიექტი აღმოვაჩინეთ, რომელიც მაღალი ელექტროგამტარობით ხასიათდება. ფორმით ელიფსოიდს ან ცილინდრს ჰგავს, რომლის წვერო 100 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მიწაში 600-700 მეტრზე ეშვება. იგი არც რკინისგან და არც რომელიმე სხვა, ნაცნობი ლითონისგან შედგება. მაგრამ იქ რომ რაღაც ნამდვილადაა, ეს ფაქტია.

სამომავლო გეგმები – **მაინც ამოვთხრით!**

მომავალში კრატერზე მორიგი ექსპედიცია გაემგზავრება. მისი მიზანია, გათხრების წარმოება და მის შუაგულში გაჭედილ ობიექტამდე მიღწევა.

**ანდრეი მოისეენკო,**

**„კომსომოლკაია პრავდა“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი

# უბედურებათა სტატისტიკა

## 1938 წლის 14 მაისი ინგლისის შურისძიება დამცირებისათვის 6 გატანილი გოლით

ოლიმპიური სტადიონი, ბერლინი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი – გერმანია-ინგლისი 3:6 (2:4).

გოლები: გაუხელი 20, გელეში 42, პესერი 70, ბასტონი 12, რობინსონი 26,50, ბრუმი 36, მეტიუზი 39, გოულდენი 72.

103 ათასი მაყურებელი. მსაჯი: ლანჟენიუსი (ბელგია).

**გერმანია:** იაკობი, იანესი, მიუნცენბერგი, კუპფერი, გოლდბრუნერი, კიტცინგერი, ლენერი, გელეში, გაუხელი, შეპანი, პესერი.

**ინგლისი:** ვუდლი, სპროსტონი, ეჰგუდი, ჟილინგემი, იანგი, უელში, მეტიუზი, რობინსონი, ბრუმი, გოულდენი, ბასტინი.

ინგლისური ფეხბურთისათვის ერთ-ერთი უდიდესი ტრიუმფი შედგა იმ დღეს, როდესაც ინგლისელებმა გადაიტანეს დიდი დამცირება, რომელიც გამოწვეული იყო პოლიტიკური პრესინგით. ადოლფ ჰიტლერს მოსვენება ჰქონდა დაკარგული იმის გამო, რომ გერმანელმა სპორტსმენებმა დიდი ვერაფერი შედეგი აჩვენეს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე 1936 წელს და ინგლისელებთან რევანში ამ საფეხბურთო მატჩის მოგებით უნდოდათ აეღოთ.

ინგლისელ ფეხბურთელებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რომლის თანახმადაც ფაშისტური გერმანიის ჰიმნის შესრულებისას ისინი ხელგაშვერილები ნაცისტური მისალმების პოზაში უნდა დამდგარიყვნენ. ბრძანება მოდიოდა გერმანიაში ინგლისის ელჩისაგან სერ ნევილ ჰენდერსონისაგან, რაც სტენლი როუზმაც გაიზიარა, რომელიც იმ დროს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გენერალური მდივანი იყო. თავდაპირველად ინგლისელები ამის წინააღმდეგ წავიდნენ, მაგრამ თავიდან რომ აეცილებინათ მოსალოდნელი სკანდალი, ბრიტანელთა ნაკრები დამორჩილდა ამ ბრძანებას. მაგრამ შემდეგ, თამაშის მსვლელობისას, სამაგიერო გადაუხადეს გერმანიის ნაკრებს, გაუტანეს რა მათ 6 გოლი.

დონ უელში, რომელმაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა, იხესებს: **"ეს გახლდათ მართლაც შესანიშნავი მატჩი, რომლის მეორე ტაიმში აუტანელი სიცხის გამო თამაშის ტემპის დაგდება მოგვიწია. პირველ ტაიმში კი არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენ 10 გოლს მაინც გავიტანდით. ბრწყინვალედ თამაშობდა 20 წლის ჯეკ რობინსონი, რომელმაც სტენლი მეტიუზთან ერთად შესანიშნავი დუეტი შექმნა. ახალგაზრდა ლენ გოულდენმა გაიტანა დიდებული გოლი 27 მეტრის მანძილიდან. თავი გამოიჩინა აგრეთვე ფრენკ ბრუმმა, რომელიც იყო ინგლისის ნაკრების ახალწვეული".**

ამგვარად, ინგლისელებმა პირწმინდად გაანადგურეს გერმანელები.

1950 წლის 6 ივლისი

## ბრაზილიელებმა ფინალში წაიბორძიკეს

"მარაკანა", რიო-დე ჟანეირო.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი

**ბრაზილია-ურუგვაი** 1:2 (0:0)

გოლები: ფრიაკა 47, სკიაფინო 66, გიჯა 79.

მაყურებელი: 199.000. მსაჯი: რიდერი (ინგლისი).

**ბრაზილია:** ბარბოსა, და კოშტა, ჟუვენალი, ბაუერი, ალვიმი, ბიგოდე, ფრიაკა, ზოზინიო, ადემირი, ჟაირი, ჩიკო.

**ურუგვაი:** მასპოლი, მ. გონსალესი, ტეხერა, გამბეტა, ვარელა, ანდრადე, გიჯა, პერესი, მიგესი, სკიაფინო, მორანი.

სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ფინალურ მატჩზე დამსწრეთა რაოდენობის სტატისტიკა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, ასეთი რაოდენობის მაყურებელი იმ დროისათვის არცერთ მატჩზე არ იყო დასწრებული, თუ არ ჩავთვლით 1923 წელს ინგლისში **"უემბლიზე"** გამართულ ქვეყნის თასის ფინალს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს სტრუქტურა შეეცვალა და ჯგუფური ეტაპის შემდეგ პირდაპირ ჩატარდა ჩემპიონატის ფინალური სტადია. ბოლო მატჩი ჭეშმარიტად ფინალის საკადრისი მოვლენა გახლდათ. სწორედ ამ ჩემპიონატის შემდეგ სპორტის კომისიამ დაიწყო მისი განხილვა და ფინალური ყველა მატჩი უსერიოზულეს ტურნირად ჩათვალა. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა პირველად მიიღო ინგლისის ნაკრებმა, რომელსაც წინა ჩემპიონატები გამოტოვებული ჰქონდა, ვინაიდან, როგორც ფეხბურთის დამაარსებელი, და დიდი ფეხბურთის სამშობლო, თავს არ უყადრებდა სხვა ქვეყნების გუნდებს. ბრიტანელებმა პირველ მატჩში ჩილე გამოთიშეს ასპარეზობას, მაგრამ ყოყლოჩინობა ძვირად დაუჯდათ და მალე თავადაც ჩილეს ბედი გაიზიარეს.

უაღრესად საინტერესო და სანახაობრივი საფეხბურთო ბატალიების შემდეგ ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ურუგვაისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები.

ანგარიში ბრაზილიელმა ფრიაკამ გახსნა, თამაშის 66-ე წუთზე კი სკიაფინომ თანასწორობა აღადგინა. მატჩის დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე კი გიჯამ გაიტანა გამარჯვების გოლი და ურუგვაის საფეხბურთო ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რაც უმძიმესი დარტყმა იყო მთელი ბრაზილიისათვის.

**გიორგი ჯალაღანია**



## იუმორი

**თვითმფრინავში მგზავრები ერთმანეთს ესაუბრებიან... რა თქმა უნდა, ყველაფერზე და სპორტზეც...**

**– კრივი, პირადად ჩემთვის, სპორტის საუკეთესო საშუალებაა. მაგით ვშოულობ ფულს.**

**– ალბათ მოკრივე ხართ?**

**– არა, ღმერთმა დამიფაროს! კბილის ექიმი ვარ!**

*** * ***

**მთვრალი კაცი ჭის გარშემო დადის.**

**– ხუთი წუთიც და, თუ ეს ღობე არ დამთავრდა, ზედ გადავახტები!**

*** * ***

**ქალები ერთმანეთს ემშვიდობებიან.**

**– აკოცე დეიდას, – მიმართა დედამ პატარას.**

**– არ მინდა. გუშინ მამამ რომ აკოცა, მაგან სახეში გაარტყა.**

*** * ***

**ცოლიანი არიგებს უცოლოს:**

**– არასოდეს დაქორწინდე! ცოლები მძარცველებზე უარესები არიან.**

**– რატომ?**

**– მძარცველი ან ფულს მოითხოვს, ან სულს, ცოლები კი ორივეს გვართმევენ...**


**ინდივიდუალური მეწარმე გიორგი ხიდეშელი სთავაზობს მომხმარებელს ეკოლოგიურად სუფთა რძეს და ხორცის პროდუქტებს მაღალი ხარისხის გარანტიით**

**მისამართი: ლაგოდეხის რაიონი, სოფელი ნაინდროვალი**

საქართველო და მსოფლიო ფასი 1 ლარი info@geworld.net www.geworld.net

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
**"საქართველო და მსოფლიო"!**




## ბაჩუკი კობახიძის გახსენება

5 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, შვილო ბაჩუკი – 35 წლის გახდებოდი, მაგრამ, ვაი, რომ დროის მსვლელობის კვალდაკვალ ასაკი აღარ მოგემატება და მარადჟამს 34 წლის ყმად დარჩები ჩვენს მეხსიერებაში!

უკვე ხუთი თვე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. ამ ხნის მანძილზე უამრავი ისეთი რამ მოხდა, რაც გაგახარებდა, მაგრამ შენმა ტრაგიკულმა აღსასრულმა საერთოდ დაგვავიწყა თუ რა არის სიხარული და სულიერი სიმშვიდე. ვინ წარმოიდგენდა, რომ წლევანდელი რთველი უშენოდ ჩაივლიდა. დღესაც ჩაგვესმის შენი ომახიანი ხმა, სასწაული შრომისმოყვარეობით რომ აკეთებდი ყოველ საქმეს. ვერასოდეს შეგელევით დასავიწყებლად...

უაზროდ ექცათ წუთისოფელი შენს მშობლებს, დედმამიშვილებს, ბებიას და ბაბუას, ნათესავ-მეგობრებს. გულს ახლა მხოლოდ იმით ვიოხებთ, რომ ყოველდღე შენს საფლავზე ავდივართ და შენს მაგივრად იმ ცივ ქვას ვესაუბრებით, ზედ შენი სურათი რომაა გამოსახული.

სამსახური დაიწყეს შენმა საფიცარმა ძმისშვილებმა, შენი დაკარგვით განცდილმა გულისტკივილმა თითქოს ხანი შემატა ყმაწვილებს, დღე არ გავა, რომ თვალაცრემლებულებმა არ გაგიხსენონ...

შენი პატარა ძმისშვილი მარგარიტაც პირველ კლასში შევიდა. მართალია, ჯერ სრულად ვერ შეიმეცნა, თუ რა არის სიკვდილი და ადამიანის უდროოდ დაკარგვით მიყენებული ტკივილი, მაგრამ ისიც ზოგჯერ სევდიანად მოგიკითხავს ხოლმე – ბაჩუკი სად არისო...

ნეტა, მართლა სადა ხარ, შვილო...


| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე | რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930 | მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია<br>მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია<br>ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი | anaklia@web.de<br>e-mail:elisabetthal@yahoo.de<br>რეკლამის განთავსება<br>899-57-33-22<br>72-37-35<br>38-41-97 |